ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 2015 №236 (6856) ფასი: 30 თეთრი

ევროპა საგზურების ელის

დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ბატჩების და 3 ჯგუფში ბევრი რამ გადაწყდება.

საქართველო – გიბრალტარი	1.03	11.0	26.0
ირლანდია – გერმანია	6.5	4.2	1.5
შოტლანდია – პოლონეთი	2.75	3.1	2.62
ალბანეთი – სერბეთი	2.75	2.87	2.87
პორტუგალია – დანია	1,65	3,50	5,75
უნგრეთი – ფარერები	1.3	4.8	13.0
რუმინეთი – ფინეთი	1.7	3.3	6.0
ჩრ. ირლანდია – საბერძნეთი	2.62	2.7	3.2

ნაციონალების აქციას გიორგი მარგველაშვილიც შეუერთდება

გვ.2

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სიტუაციის ასარევად სააკაშვილი თბილისში ჩამოვა“

„ადრე ციხე ქურდების იყო, ახლა ნაციონალების გახდება“

სოსო ცინცაძე: „ელჩმა გეგეშიძემ პრეზიდენტ მარგველაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა“

„ამერიკულ პრესაში ჩვენი მოხვედრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“ გვ.5

მაია ნიკოლეიშვილი: „ეროსი კინწმარიშვილის მანქანაში სხვა პირის ყოფნა არ დასტურდება“

გვ.7

დავით ლორთქიფანიძე: „ჩემი ცემის და ნაციონალების შემთხვევების შედარება არ შეიძლება“

გვ.3

„არც მე მომწონს იმ 3 ახალგაზრდის დაკავება“

ჯოკია ბოდოკია ალაპარაკდა

გვ.4

ნუგზარ მალაღურაძე: „ნაციონალებს ვერ ვასიამოვნებთ ნარმანიას გადადგომით“

გვ.4

ISSN 1987-9385

ნაციონალების აქციას გიორგი მარგველაშვილიც შეუერთდება

შორენა მარსაგიშვილი

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სიტუაციის ასარევად სააკაშვილი თბილისში ჩამოვა“

„ადრე ციხე ქურდების იყო, ახლა ნაციონალების გახდება“

რა სიურპრიზებს უნდა ველოდოთ ნაციონალებისგან, ვის ჩამოყვანას აპირებს დასავლეთი თბილისში, რას უთანხმებენ არასამთავრობოები ბოკერიას, რა ჩაიფიქრა მარგველაშვილმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

არაერთხელ მითქვამს, რომ ნაციონალები სიტუაციის ასარევად ემზადებიან. მათ არც ვადამდელი და არც ვადიანი არჩევნების მოგების შანსი არა აქვთ. ყველაფერი კეთდება, რომ ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით შეცვალონ. ამის მცდელობა უკვე რამდენჯერმე ჰქონდათ. ძალიან მიკვირს, რატომ არ ინტერესდებიან სათანადო ორგანოები ნაციონალი დეპუტატების განცხადებებით.

– რომელი დეპუტატის განცხადებით უნდა დაინტერესდნენ სათანადო ორგანოები?

– დავით დარჩიაშვილი და აკაკი ბობოხიძე ხალხს სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მოუწოდებენ. ტვინნაღრძობი დარჩიაშვილი ამტკიცებს, რომ სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალია. ბობოხიძემ პარლამენტის ტრიბუნიდან მოუწოდა ხალხს, ერთმანეთს დაერიონ.

ასეთი რამეების მოწყობა ამ უკანასკნელს კარგად გამოსდის. საქართველოში კარგად ახსოვთ 1991 წლის 2 სექტემბერი. ამ სისხლიანი დღის ერთ-ერთი შემოქმედი ბობოხიძეა. მოუწოდებ ხელისუფლებას, ამისთანა ადამიანების მოწოდებებს უყურადღებოდ ნუ დატოვებენ. მესმის, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, მაგრამ კანონს ვინც დაარღვევს, ყველა უნდა დაისაჯოს, მათ შორის დეპუტატებიც. ამ მიმართულებით ხელისუფლებამ უკვე გადადგა ნაბიჯი წინ. სათანადო რეაგირება მოახდინა დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეზე განხორციელებულ თავდასხმაზე.

– გასაგებია, რომ დეპუტატზე თავდასხმა ისჯება, მაგრამ რატომ არ დასაჯა ხელისუფლებამ ის ხალხი, ვინც ნაციონალ დეპუტატებს დაესხა თავს?

– ერთი მითხარით, ვინ და როდის დაესხა ნაციონალებს თავს? რაც კი ნაციონალებთან დაკავშირებით მოხდა, ყველაფერი იყო დადგმული სპექტაკლი. ჩიორა თაქთაქიშვილი „კუშეტკაზე“ რომ წამოაწვინეს, ეგ იყო თავდასხმა თუ ნუგზარ წიკლაურის მოყოლილ ზღაპარზე უნდა დაეჭირათ ვინმე?!

წიკლაური უსირცხვილოდ ამტკიცებს, 8 კაცი დამხვდა სადარბაზოსთან და ჩემს გატაცებას ცდილობდნენო. 8 კაცი რემბოსაც კი ჩატენიდა მანქანაში და არა მგონია, ნუგზარი რემბოზე მაგარი იყოს.

– რემბოზე მაგარი შეიძლება არ არის, მაგრამ, როგორც დეპუტატი ეკა ხერხეულიძე აცხადებს, ის ჩეჩნეთში მიმდინარე სომარი მოქმედებების დროს რუსებს ებრძოდა.

– ეს არაფერს ნიშნავს, გამორიცხულია, ელექტროშოკებით შეიარაღებულ 8 ადამიანს ერთი კაცი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. არავითარი თავდასხმები არ ყოფილა ნაციონალებზე. სამაგიეროდ, ისინი გეგმავენ ხელისუფლების წევრებზე თავდასხმებს. პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად თბილისში სააკაშვილსაც კი ჩამოიყვანენ. ამისთვის სერიოზული სამზადისი მიმდინარეობს.

– რა სამზადისზე საუბრობთ? სააკაშვილზე საქართველოს ხელისუფლებას ძებნა აქვს გამოცხადებული.

– ძებნის გაუქმება შეიძლება. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ნაციონალებმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან უკვე მოაგვარეს საქმე. ახლა ისინი შეეცდებიან, დაიყოლიონ საქართველოს ხელისუფლება. სავარაუდოდ, არჩევნების წინ მასზე ძებნა გაუქმდება და ის თბილისში ჩამოვა. არ არის გამორიცხული, ნაციონალების საარჩევნო სიასაც კი ჩაუდგეს სათავეში. თუმცა, ამათი მიზანი არჩევნები სულაც არ არის. საჭიროების შემთხვევაში ყოფილ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილიც დაეხმარება.

– რატომ გგონიათ, რომ დაეხმარება?

– გიორგი მარგველაშვილმა უკვე გამოავლინა, რომ ნაციონალების მხარდამჭერია. ის ხელისუფლების აშკარა შანტაჟზე გადავიდა და არ გამოვრიცხავ, ნაციონალების დაანონსებულ აქციას შეუერთდეს.

– ამბობთ, შანტაჟზე გადავიდაო და რაში გამოიხატება ეს?

– ამერიკაში მის მიერ გაკეთებული განცხადებები სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. სიტყვით გამოსვლისას მან განაცხადა, საქართველო საერთაშორისო რადარებიდან გაქრაო. დავიჯერო, ამხელა პრეზიდენტმა კაცმა არ იცის, რატომ აღარ არის საქართველოს თემა ასეთი აქტუალური? უკრაინაში ისეთი ამბები მიდის, ლამისაა მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს. იგივე ხდება სირიაშიც. ასეთ ვითარებაში საქართველო აქტუალური ვერ იქნება.

მსოფლიო იმ ქვეყანას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, სადაც ომია. ეტყობა, მარგველაშვილსაც უნდა, რომ საქართველომ ომი გამოუცხადოს რუსეთს. საქართველოს ხელისუფლებაში ნაციონალები რომ დარჩენილიყვნენ, ომი იქნებოდა. და რაკი ეს ოცნება მათ ვერ აისრულეს, ამისკენ მოქმედი პრეზიდენტი გვიბიძგებს. რუსეთთან ომი არ იქნება, მაგრამ სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები აშკარად იკვეთება.

– რა მიგანიშნებთ იმაზე, რომ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მივდივართ?

– გადახედეთ ნაციონალების მიერ კონტროლირებად არხებს და ყველაფერი ნათელია. ქართული მედია ისეთი შეზღუდული, როგორც დღეს არის, არასდროს ყოფილა.

– ხელისუფლება რომ ამბობს, მედია ასეთი თავისუფალი ჯერ არ ყოფილაო?

– მთელი უბედურება ისაა, რომ მედიის თავისუფლებას ყოფილი ხელისუფლება, დამნაშავე ნაციონალები ზღუდავენ. მართლა უხერხულია, როცა კაპიტანი ეკა გიგაური სამართლიანობაზე გვესაუბრება.

– რადგანაც კაპიტანია, ამის უფლება არა აქვს?

– ეკა გიგაური ის ადამიანია, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დასკვნებს გიგა ბოკერიას უთანხმებდა.

– საიდან იცით, რომ დასკვნებს ბოკერიასთან ათანხმებდა?

– ამის შესახებ ინფორმაცია სანდო წყარომ მომაწოდა, რომელიც ამ ფაქტის მომსწრე თავადაც ყოფილა. გიგაურები, საიები თუ მაიები ჩვენ ჭკუას არ უნდა გვარიგებდნენ. ცოტა ხანში ისინი პოლიტიკაში გადავლენ და მათი დახმარებით მოხდება ნაციონალების და მისი სატელიტი პარტიების დაფინანსება.

– ნაციონალებს დაფინანსების მოსაპოვებლად არასამთავრობოების დახმარება რაში სჭირდებათ?

– ქართული კანონმდებლობა პარტიებს უცხოეთიდან ფულის შემოსვლას უკრძალავს. სამაგიეროდ, ამ პრივილეგიით სარგებლობენ არასამთავრობოები. ისინი ფულს გრანტის სახით მიიღებენ. ამ თანხას ნაციონალებს გადასცემენ და მალე ეს ცნობილი არასამთავრობო სახეები პარტიებში გადანაწილდებიან. მათ ნაციონალებში და თავისუფალ დემოკრატებში ვიხილავთ.

ახლა ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას აპირებს და ამის დასტურად 3 ოქტომბერს ჩატარებული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები მოჰყავთ. არადა, ასეთი დემოკრატიული არჩევნები საქართველოში არ ჩატარებულა.

– რაში გამოიხატება ეს დემოკრატიულობა?

– არჩევნების მიმდინარეობა პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. ახლა თუ ვინმე იმას მეტყვის, რომ გეგა გობეჯიშვილის დაკავება სახელმწიფოს ჩარევა იყო, ძალიან შემცდარა. ამ ხალხს შევახსენებ, რომ ფიფას პრეზიდენტის არჩევის წინა დღეს, ამერიკის სპეცსამსახურებმა ჟენევაში ფიფას რამდენიმე მაღალჩინოსანი დააკავეს. აქ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

არჩევნების გაყალბება ხელისუფლებას არაფერში სჭირდება. არჩევნების ჩაშლა და გაყალბება ნაციონალების ინტერესებშია და ამისთვის ისინი ყველაზე საშინელ ნაბიჯზეც შეიძლება წავიდნენ. დიდი შანსია, აქ პოლიტიკური მკვლელობაც კი მოხდეს.

– ეს სერიოზული ბრალდებაა.

– როცა ნაციონალებთან გაქვს საქმე, ყველაფერს უნდა ელოდო. დაავიწყდა ვინმეს, როგორ ითხოვდა მათი გენერალური მდივანი მერაბიშვილი 2 გვამს? ახლა ხელისუფლებას მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა მართებს. ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ პროვოკაციაზე არ წამოაგონ, მაგრამ ყველა კანონდარღვევაზე უმკაცრესი რეაგირება უნდა ჰქონდეთ.

ნაციონალებს მართლა აქვთ ხელისუფლების დაბრუნების შანსი, ოღონდ ეს შანსი მათ მატროსოვზე მიეცემათ. თბილისის ყოფილი მერი, ყოფილი პრემიერი და თავდაცვის ექს-მინისტრი ისედაც იქ ჰყავთ და რამდენიმეც თუ დაემატება, მთავრობას სრული შემადგენლობით დააკომპლექტებენ.

ადრე ხომ ციხე ქურდებისა იყო, ახლა ციხე ნაციონალების გახდება.

აშშ რუსთავი 2-ზე: „ამ მოვლენებს ყურადღებით ვაკვირდებით“

ამერიკის შეერთებული შტატები ტელეკომპანია რუსთავი-2-ის გარშემო მიმდინარე პროცესებს ყურადღებით აკვირდება.

ასე უპასუხა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარკ ტონერმა რუსთავი-2-ის ჟურნალისტ დავით ნიკურაძის კითხვას.

– ჩვენ ამ მოვლენებს ყურადღებით ვაკვირდებით. მოვუწოდებთ, რომ ნებისმიერი სამართლებრივი პროცესი, რომელიც მედიას უკავშირდება, ყველგან და, რა თქმა უნდა, საქართველოში, წარიმართოს მართლმსაჯულების უმაღლესი სტანდარტების დაცვით, გამოხატვის თავისუფლების პატივისცემით, – აღნიშნა მარკ ტონერმა.

მისივე თქმით, ზოგადად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, აშშ-ის ხელისუფლება და საერთაშორისო საზოგადოება დადებითად აფასებდა საქართველოს თავისუფალ და პლურალისტურ მედიაგარემოს, რომელიც საერთაშორისოდ არის აღიარებული, როგორც სამაგალითო მთელი რეგიონისთვის.

– ამგვარად, ქმედებები, რომლებიც თითქოს ზღუდავს ამ გარემოს, მედიის თავისუფლებას ან მედიაპლურალიზმს, შემაშფოთებელია, განსაკუთრებით საპარლამენტო არჩევნების წინ. ჩვენ ამას სერიოზულად ვეკიდებით და ვაკვირდებით, – განაცხადა მარკ ტონერმა.

იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებას ეთანხმება.

– ვეთანხმები სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ყველა უნდა დავაკვირდეთ სასამართლო პროცესს, რომელიც უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე, – განუცხადა წულუკიანმა ჟურნალისტებს აღნიშნული საკითხის კომენტირებისას.

რაც შეეხება ტელეკომპანიის ქონების დაყადაღების საკითხზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციას, წულუკიანის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასება არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების და, მათ შორის, არც მისი საქმე.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა ჯანდელაკი, მზია ქოჭაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით ლორთქიფანიძე: „ჩემი ცემის და ნაციონალების შემთხვევების შედარება არ შეიძლება“

შორენა მარსაგიშვილი

2 ოქტომბერს პარლამენტთან მომხდარი ინციდენტის გარშემო ვნებათაღელვა არ წყდება. ნაციონალები დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს მოუწოდებენ, თავდებში დაუდგეს იმ 3 პიროვნებას, რომლებიც მასზე განხორციელებული თავდასხმის გამო დააკავეს.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ნადირაშვილმა ლორთქიფანიძე თითქმის დაწყევლა და დაპირდა, რომ სანამ 3 ახალგაზრდა ციხეშია, მას სიმშვიდე არ ეღირსება.

დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ ნაციონალებმა მასზე რაიმე თავდასხმა მოაწყონ. ის ნადირაშვილს და მის თანამებრძოლებს წესიერად მოქცევისკენ მოუწოდებს და ურჩევს, რამეზე ხელი არ წაუცდეთ.

– ჩემმა კოლეგა ირმა ნადირაშვილმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ სანამ ეს ადამიანები არიან დაკავებული, დავით ლორთქიფანიძეს მშვიდი ცხოვრება არ ექნებაო. მინდა შევახსენო ქალბატონ ნადირაშვილს, რომ ასეთი განცხადებები არის მუქარის შემცველი განცხადებები, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ლორთქიფანიძე.

ის ამბობს, რომ არ სჭირდება ნადირაშვილისგან დაცვის განსაკუთრებული ზომების მიღება.

– მე დავდივარ დაცვის გარეშე, მაგრამ მე დავდივარ დაცული ისევე, როგორც უნდა იყოს ამ ქვეყანაში პარლამენტის წევრი. მაქვს იარაღის ტარების უფლება, – აცხადებს დეპუტატი.

მისი თქმით, ნადირაშვილის ეს განცხადებები საზოგადოებაში შიშის სინდრომის დანერგვას ემსახურება.

– ტყუილად ნუ იმუქრებიან და შიშის დათესვას ნუ ეცდებიან, მათი არავის ეშინია, – ამბობს დეპუტატი.

ლორთქიფანიძე გასულ კვირას პარლამენტთან მომხდარი ინციდენტით, როდესაც მას პიჯაკი შემოახიეს და რუპორი ესროლეს, აღშფოთებულია. ამის მიუხედავად, არ უხარია ინციდენტის მონაწილეების დაპატიმრება.

ლორთქიფანიძის თქმითვე, საუბარი იმაზე, რომ ეს ადამიანები ტყუილად აღმოჩნდნენ განსასჯელის სკამზე, მცდარია. იგი იმასაც ამბობს, რომ 3 ახალგაზრდისთვის პატიმრობის შეფარდებასთან კავშირი არ აქვს, რადგან ასე პროკურატურამ და სასამართლომ გადაწყვიტა.

– ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელიც არ ერევა პროკურატურის და სასამართლოს გადაწყვეტილებებში. მე, როგორც დაზარალებულმა, მივეცი ჩვენება და ვთქვი ის, რაც იყო. სასჯელის ზომა არის პროკურატურის და სასამართლოს გადაწყვეტილება, – აღნიშნავს ლორთქიფანიძე.

დეპუტატის თქმით, ეს გადაწყვეტილება არ არის საბოლოო:

– მათ შეუძლიათ, მეორე ინსტანციაში გაასაჩივრონ.

ლორთქიფანიძე იმედს გამოთქვამს, რომ ახალგაზრდები გარეთ გამოვლენ და თავიანთ შეცდომას გააანალიზებენ. დეპუტატის აზრით, ნაცმოძის გვერდზე მხოლოდ შეცდომაში შეყვანილი ადამიანები დგანან.

– მინდა იმედი დავიტოვო, რომ ეს ადამიანები, რომლებიც არიან ნაციონალური მოძრაობის მიერ ღრმა შეცდომაში შეყვანილი, ითანამშრომლებენ გამოძიებასთან იმ დროში, რომ პროკურატურას და სასამართლოს მიეცემა საშუალება, მათ მიმართ უფრო რბილი ფორმა იყოს გამოყენებული. არც მე მომწონს, რომ ადამიანები საპატიმრო დაწესებულებაში ხვდებიან, მაგრამ ჩვენ პროკურატურის და სასამართლოს გადაწყვეტილებებში ვერ ჩავერევით, – განაცხადა დეპუტატმა.

ლორთქიფანიძე ამ ახალგაზრდებისთვის პატიმრობის შეფარდებას ყოფილ ხელისუფლებას აბრალებს. მისი განმარტებით, დეპუტატებზე ფიზიკური შეურაცხყოფისთვის სასჯელის ზომა 4-დან 7 წლამდე სწორედ ნაციონალური მოძრაობის მიერ არის დაწესებული.

„არც მე მომწონს იმ 3 ახალგაზრდის დაკავება“

– ის, რაც მოხდა პარლამენტში 2 ოქტომბერს, იყო ძალიან ცუდი პრეცედენტი იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებს არ ეძლეოდათ საშუალება, შესულიყვნენ სამუშაო ადგილზე და ჩატარებულიყო პლენარული სხდომა. ეს ინციდენტი შეემთხვა არაერთ დეპუტატს – გოგლა ვუანიას, ვალერი გელაშვილს, ლუკა კურტანიძეს, იაშა შერვაშიძეს და მე. ჩემ მიმართ იყო სიტყვიერი შეურაცხყოფები. ბოლოს ჩემთან მოხდა ფიზიკური შეხლა-შემოხლა. მათ შემომახიეს პიჯაკი, გამიტეხეს სათვალე. ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, – აცხადებს ლორთქიფანიძე.

◆ ◆ ◆

დეპუტატების ცემა ჩვენში დიდი იშვიათობა ნამდვილად არ არის.

სააკაშვილის და შევარდნაძის მმართველობის ხანაში ოპოზიციურად განწყობილ დეპუტატებს არაერთხელ დასხმიან თავს.

ეს ტრადიცია ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. ამ პერიოდში რამდენიმე ნაციონალი დეპუტატი გაილახა. მათ შორის ქალებიც. ყველამ ვნახეთ, როგორ ადინეს ჩიორა თაქთაქიშვილს ცხვირიდან სისხლი.

საქმე ამ ფაქტებზეც აღიძრა, თუმცა ნაციონალების ცემისთვის ციხეში არავინ გაუმწესებიათ. მათ 100-100 ლარიანი ჯარიმები აკმარეს.

ახლა ნაცმოძი კითხულობს, რატომ ღირს მათი ცემა 100 ლარი, ხოლო მეოცნების ცემა – 4-დან 7 წლამდე პატიმრობა.

დავით ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ნაციონალებს უფლება არ აქვთ, საკითხი ასე დააყენონ. მეტიც, დეპუტატი აღშფოთებულია ნაციონალების ყელყელაობით.

– 2013 წლის 8 თებერვალს ეგზალტირებული მასის დიდ ნაწილში მოხდა შეხლა-შემოხლა. მაპატიეთ, ახლა თუ ქალბატონ ჩიორასთან თუ სხვებთან მიმართებაში იყო ძალადობა. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ ეს ადამიანები არიან იმ რეჟიმის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა ქუჩაშიც ვერ დადიოდნენ ისე, როგორც ეკადრება საქართველოს მოქალაქეს. ამ ბოლო დროს ძალიან წამოიჩიტნენ, ძალიან ყელყელაობენ, – მიიჩნევს დეპუტატი.

ნაციონალების წამოჩიტვას ლორთქიფანიძე საკუთარ თავს და მთელ „ქართულ ოცნებას“ აბრალებს.

დავით ლორთქიფანიძე:

– ნაციონალების გათავხედება არის ჩვენი ხელისუფლების ბრალი, რადგან ჩვენ მაქსიმალურად სწრაფად ვერ მოვახდინეთ სამართლიანობის აღდგენა. ამ ადამიანებს არ აქვთ მორალური უფლება, რომ მათი შემთხვევები და ჩემი შემთხვევა ერთმანეთს შევადაროთ.

ნინო გვენეტაძე: „ჩვენ მზად ვართ კრიტიკისთვის“

– სამართალწარმოების პროცესს სჭირდება გარკვეული სიმშვიდე და მხარდაჭერა, ჩვენ მზად ვართ კრიტიკისთვის, თუმცა სამართალწარმოების პროცესს სჭირდება გარკვეული სიმშვიდე და მხარდაჭერა, – ამის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა.

გვენეტაძის თქმით, საკანონმდებლო დონეზე პროცესიის გამჭვირვალობა ეჭვქვეშ არ დგას.

– რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით განცხადება იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გააკეთა.

ყველა საქმესთან დაკავშირებით ვიტყოდი, რომ ჩვენი საკანონმდებლო ბაზა პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით სრულყოფილია – პროცესზე დასწრების, გაშუქების, შეფასების, კრიტიკის გამოთქმის უფლება არსებობს და ამდენად ეს პროცესი მიმდინარეობს.

ვისურვებდი, რომ სასამართლოსაც მიეცეს ფუნქციონირებისა და მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობა.

აქვე გავიმეორებ, რომ ჩვენ მზად ვართ კრიტიკისთვის, თუმცა სამართალწარმოების პროცესს სჭირდება გარკვეული სიმშვიდე, მხარდაჭერა და ეს უკვე მხარეებს შორის გადასაწყვეტი პოზიციებია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ნინო გვენეტაძემ.

ინტერპრესნიუსი

აკაკი მინაშვილი: „პატრულის ყოფილ თანამშრომელზე მუქარის შემცველი ზარები ხორციელდება“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის, აკაკი მინაშვილის განცხადებით, საპატრულო პოლიციის ყოფილი თანამშრომლის მიმართ მუქარის შემცველი ზარები ხორციელდება, თუმცა ამას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

აკაკი მინაშვილმა პრესკონფერენცია პატრულის ყოფილ თანამშრომელთან, ზურაბ სოსელიასთან ერთად გამართა.

მინაშვილის განცხადებით, ზურაბ სოსელია წლების განმავლობაში საპატრულო პოლიციის თანამშრომელი იყო და სამსახურიდან 2012 წელს გაათავისუფლეს.

აკაკი მინაშვილი:

– 2012 წლის ნოემბერში ის მოხსნეს, რადგან მან სრულიად კანონიერად გააჩერა და დააჯარიმა მაშინდელი „ქართული ოცნების“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ედიშერ თოლორაია, რომელიც დღეს ზუგდიდის გამგებელია.

მას შემდეგ სოსელია აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მუდმივად და ინტენსიურად ამხელს ადგილობრივ ხელისუფლებას სამეგრელოში, მათ შორის გუბერნატორსა და ქალაქის სუს-ის უფროსს ნაჭყებიას.

ამის გამო, რამდენიმე დღის წინ, ზურაბ სოსელიას დედას დაურეკეს და დაემუქრნენ, რომ თუკი ის თავის აქტიურობას არ შეწყვეტდა, სერიოზული ზიანი მიადგებოდა.

მსგავსი შინაარსის ზარი ორჯერ განხორციელდა. ორივე ნომერი ცნობილია. ეს ინფორმაცია სოსელიამ სამართალდამცავებს შეატყობინა, თუმცა საქმის გამოძიება არ დაწყებულა და არც რაიმე სახის რეაგირება მოუხდენიათ.

ჩვენ ვიცით ძალიან ბევრი დანაშაული და სამართალდარღვევის შესახებ, რომელსაც გუბერნატორი შონია და სუს-ის უფროსი ნაჭყებია სჩადიან.

შეგახსენებთ, რომ ნაჭყებია თავის დროზე კონტრაბანდისთვის მსჯავრდებული იყო. ის რომ, ამ და მსგავს საქმეებზე არანაირი გამოძიება არ ხორციელდება, ის რომ, არც ამ მუქარის საქმეზე ერთი ნაბიჯი არ განხორციელებულა არც პოლიციის და არც პროკურატურის მხრიდან, კიდევ ერთხელ აძლიერებს იმ ეჭვებს, რომ ეს ყველაფერი ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცენტრალური ხელისუფლების

შესაბამისი სამსახურების მიერაა მართული.

მისივე თქმით, აფრთხილებს ხელისუფლებას, რომ ეს და მსგავსი ფაქტები სასწრაფოდ გამოიძიოს, „რადგან ის ძალადობა, რასაც ის აქტიური მოქალაქეების მიმართ იყენებს, მათ დასასრულს დაუჩქარებს.

ზურაბ სოსელიამ კი განაცხადა, რომ მსგავსი სახის მუქარებით მას ვერ გააჩერებენ და ბრძოლას უკანონობის წინააღმდეგ კვლავაც გააგრძელებს.

ინტერპრესნიუსი

სერგო რატიანის ოჯახი უძრავი ქონების 7 ობიექტს ფლობს

საქართველოს პარლამენტის წევრ სერგო რატიანის ოჯახი 7 ობიექტის მფლობელია. აქედან ოთხის 100%-იანი და ერთის 40%-იანი წილის მესაკუთრე თავად პარლამენტარია.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რატიანის საკუთრებაში 1 საცხოვრებელი სახლი, მიწის 3 ნაკვეთი და ერთი ბინა ირიცხება, რომლის 60% ლალი ცერცვაძეს, ანუკი რატიანსა და ნინო რატიანს ეკუთვნით.

თბილისში მდებარე კიდევ ერთი ბინის მფლობელია სერგო რატიანის მეუღლე ეკა კაკულია.

მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე 52 კვ.მ ფართობის მქონე ბინის 100%-იანი წილის, სერგო რატიანის ქოებრივი დელარაციის თანახმად, სწორედ კაკულიას ეკუთვნის.

გთავაზობთ სერგო რატიანის ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ობიექტების ნუსხას:

- 267 კვ.მ ფართობის მქონე საცხოვრებელი სახლი თბილისში;
- 960 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი მცხეთაში,
- 68 კვ.მ ფართობის მქონე ბინა თბილისში;
- 52 კვ.მ ფართობის მქონე ბინა თბილისში;
- 508 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი თბილისში;
- 460 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი მცხეთაში;
- 1500 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი მცხეთაში.

ინფორმაციისთვის, 2013 წელთან შედარებით, 2014 წლის ბოლოსთვის ოჯახის საკუთრებაში ერთით მეტი ობიექტი ფიქსირდება – პარლამენტარის ქონებრივი დელარაციის თანახმად, გასულ წელს პარლამენტარის შვილს ალექსანდრე რატიანს ბებიამ საგურამოში მდებარე, 15.000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი აჩუქა, თუმცა ბებიის შემოსავლების შესახებ დოკუმენტში არავითარი ინფორმაცია არ არის მოცემული.

შეგახსენებთ, რომ სერგო რატიანი 2012 წლიდან პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით შესული დეპუტატია.

ნხბ.გე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნუგზარ მალაღურაძე: „ნაციონალებს ვერ ვასიამოვნებთ ნარმანიას გადადგომით“

ნათია ხურცილავა

დედაქალაქის საკრებულოს ნაციონალმა წევრებმა დავით ნარმანიას გადადგომა და ვადამდელი არჩევნების დანიშნა მოითხოვეს.

ამის საპასუხოდ საკრებულოს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ მალაღურაძე აცხადებს, რომ ნაციონალებს სავარძლები მოენატრათ.

ნუგზარ მალაღურაძე:

– ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ყოფნის დროს ისეთ კარუსელებს ატრიალებდა, რომ თვითონ ეხვეოდათ თავბრუ. ორი და სამი თვე ჰყავდათ მინისტრებად ადამიანები. თბილისის მერიაში ისეთი არაფერი ხდება, რაც არ შეიძლება ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ საჯარო სამსახურში მოხდეს. ნამდვილად ვერ მივანიჭებთ ნაციონალურ მოძრაობას იმ სიამოვნებას, რომ ნარმანია გადადგეს.

მალაღურაძე თვლის, რომ ნაციონალებმა ვერ გადახარშეს 2014 წელს ადგილობრივ არჩევნებზე დამარცხება.

– მთელი არსებობის მანძილზე მავნებლურ საქმიანობას ეწეოდნენ და კვლავ აგრძელებენ ამ მავნებლობას. სხვანაირად რომ მოქცეულიყვნენ,

გასაკვირი იქნებოდა, – ამბობს დეპუტატი.

– ნაციონალები ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ ქვეყნის და დედაქალაქის მასშტაბითაც.

– ჩვენ მივაღწიეთ, რომ ქვეყანა საარჩევნო ციკლში ჩაჯდა რევოლუციების, გაყალბებისა და ხელების გადაგრეხვის გარეშე. ქვეყანაში ტარდება ნორმალური არჩევნები. მოვა არჩევნები და ქართული საზოგადოება, თბილისელები თვითონ გადაწყვეტენ, ვინ უნდა იყოს ქალაქისა თუ ქვეყნის სათავეში.

– ნაციონალური მოძრაობა ამბობს, რომ ვერ კეთდება ის, რასაც ისინი აკეთებდნენ, მაგალითად, უგულავას მერობის დროს. თქვენ რას უპასუხებთ?

– დიახ, რა თქმა უნდა, რასაც ნაციონალური მოძრაობდა აკეთებდა, უკანონოდ ხალხს იჭერდა, ხალხს ძარცვავდა, ღმეული გადაფორმებები რომ იყო, ადამიანები საკუთარი ქონების გაჩუქების გუნებაზე რომ დგებოდნენ, ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ. ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც უნდა მოიქცეს ნორმალური ხელისუფლება.

– საუბარია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გზების დაგებაზე და ა.შ.

– რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, იმდენი ნაღმი ჰქონდათ ჩადებული, რომ ცოტა გაგვიგრძელდა ველის განაღმვა. ვფიქრობდით, რომ 5-6 თვეში მოვახერხებდით უკუღმართი სისტემის მოშლას და ნორმალურზე გადასვლას, მაგრამ ეს გაგვიგრძელდა.

– საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელების გადადგომა რამ განაპირობა, შეგიძლიათ გვითხრათ?

– ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. არის უამრავი გამოწვევა, ეს ქალაქსაც დაეტყობა და საქმესაც. საკადრო ცვლილებებიც ამას ემსახურება. ადამიანებმა ჩათვალეს, რომ თავიანთი თავი ამ პოსტებზე ამოწურეს.

მალაღურაძე ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა განსხვავებულ მიდგომებსა და დამოკიდებულებებსაა მიჩვეული.

– იქ ვერავინ გაინძრეოდა თავისი ნებასურვილით, ყველაფერი ერთ-ორ ადამიანზე იყო დამოკიდებული. მათ ცოლიც კი ვერ მოჰყავდათ ამ ორი ადამიანის გარეშე, – ამბობს ის.

– ბატონო ნუგზარ, ისინი აცხადებენ, რომ დავით ნარმანია საქმის კურსში არც იყო, ისე გადადგნენ ეს ადამიანები თანამდებობებიდანო. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?

– როგორ ამტკიცებენ ამას?

– უცხოეთში იყო ვიზიტით.

– განცხადება იყო დაწერილი იმ დღეს, როდესაც მერი იყო დედაქალაქში. განცხადების თარიღი ცნობილია. მივლინებაში დავით ნარმანია მერე წავიდა. კანონით გაწერილია, როგორ ხდება აღნიშნული პროცედურა. მერის მოვალეობის შემსრულებელმა, ანუ პირველმა ვიცე-მერმა დააკმაყოფილა განცხადება და რა არის ამაში უცნაური?!

მალაღურაძის თქმით, ნაციონალებს ერთადერთი ადარდებთ – დაიბრუნონ კეთილდღეობა.

– მაგრამ როგორც საკუთარ ყურებს ადამიანი სარკის გარეშე ვერ დაინახავს, ისინი ხელისუფლებას ვეღარ დაუბრუნდებიან, – ასკვნის უმრავლესობის დეპუტატი.

ჯოკია ბოდოკია ალაპარაკდა

შორენა მარსაგიშვილი

უკვე რამდენიმე თვეა, საქართველო ჯოკია ბოდოკიას ალაპარაკებას ელოდა. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის ყოფილმა უფროსმა სასამართლოზე რამდენიმე განცხადება გააკეთა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ მის ალაპარაკებას უკავშირდება მერიაში დაწყებული საკადრო ცვლილებები.

ბოლო დღეების მანძილზე მერიის 3 მაღალჩინოსანმა დატოვა თანამდებობა. მათგან ერთ-ერთი, გეგი ნიჟარაძე, ჯოკია ბოდოკიას უშუალო უფროსი იყო.

სკანდალური ჯოკია ბოდოკია ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. კარგა ხნის მანძილზე ის დუმილის უფლებას ინარჩუნებდა.

მისი იდუმალებით მოცული მდუმარება არაერთი ჭორის საბაბი გახდა.

ჭორები და კითხვები მისი დაკავების ოპერაციასაც მოჰყვა. სამართალდამცავებმა ის ფულის აღების მომენტში დააკავეს და არ გაარკვიეს, ვისთვის მიჰქონდა ეს ფული.

მედიაში არაერთხელ გაიაფერა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ბოდოკიას ეს თანხა დავით ნარმანიას ძმისთვის, ირაკლი ნარმანიასთვის მიჰქონდა.

7 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე ბოდოკიამ კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, რომ ქრთამის სახით აღებული თანხა ირაკლი ნარმანიასთვის უნდა მიეტანა. ამ ჭორის გავრცელების გამო ბრალდებულმა მერის ძმას მოუბოდიშა.

– ირაკლი ნარმანიას მინდა ბოდიში მოვუხადო. ამ საქმიდან გამომდინარე პრესის საშუალებით გავრცელებულა ინფორმაციები და ტალახი მიეცხო მას. თქვეს, რომ ფული მასთან უნდა მიმეტანა. ირაკლიმ პრესკონფერენცია ჩაატარა და რაც თქვა, ვეთანხმები. მე არჩევნებში გავიცანი და მას შემდეგ მასთან კონტაქტი არ მქონია, – აღნიშნა განსასჯელის სკამზე მჯდომმა.

როგორც გაირკვა, ბოდოკია თბილისის მერს 1999 წლიდან იცნობს. თუმცა ახლო მეგობრები და ძმაკაცები არასდროს ყოფილან.

ბოდოკიას სკანდალს ყოფილი ვიცე-მერის, ალექსანდრე მარგიშვილის სახელიც უკავშირდებოდა.

ყოფილი მაღალჩინოსანი მასთან ნაცნობობას უარყოფს.

– ალექსანდრე მარგიშვილს არ ვიცნობ, მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი, როდესაც ყოფილი ვიცე-მერი თანამშრომლებთან მივიდა და 31 დეკემბერს ახალი წლის დადგომა მიულოცა, – თქვა მან.

მარგიშვილისგან განსხვავებით,

ბოდოკია კარგად იცნობს მერიის ზედამხედველობის სამსახურის აწ უკვე ყოფილ უფროსს, გეგი ნიჟარაძეს.

როგორც ბოდოკიამ აღნიშნა, იგი სწორედ ნიჟარაძის შეთავაზების საფუძველზე მივიდა ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსის მოვალეობის თანამდებობაზე და გაიარა კონკურსი.

სასამართლოსთვის მიცემულ პირველ ჩვენებაში ბოდოკიამ დაკავების ამბებიც გაიხსენა. მან კატეგორიულად უარყო ქრთამის აღების ფაქტი. თუმცა განაცხადა, რომ ფული მართლაც აიღო, ოღონდ არა როგორც მერიის თანამშრომელმა, არამედ როგორც კერძო კომპანიის კონსულტანტმა.

მისი მტკიცებით, კერძო კომპანიის წარმომადგენლისგან, ნათია მახარაშვილისგან, ნამდვილად აიღო 50.000 დოლარი. მან ასევე მოითხოვა 2.000 ლარი ყოველთვიური ანაზღაურება შეთავაზებული სამუშაოსთვის.

როგორც ბოდოკია ამბობს, მახარაშვილმა მას შესთავაზა, რომ ყოფილიყო სასტუმროს მშენებლობის პროექტის მენეჯერი და სწორედ ამ სამსახურისთვის მოითხოვა აღნიშნული თანხა.

მისივე თქმით, მერიაში არ იყო სახარბიელო ვითარება და ის ისედაც აპირებდა თანამდებობის დატოვებას და სასტუმროს პროექტის მენეჯერად მუშაობას.

◆ ◆ ◆

მერიის საქალაქო სამსახურის უფროსების მასობრივ წასვლას ოპოზიცია ბოდოკიას ალაპარაკებას უკავშირებს.

– მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის, გეგი ნიჟარაძის განთავისუფლება უკავშირდება მისივე სამსახურის აპარატის უფროსის ჯოკია ბოდოკიას ქრთამის აღების ფაქტს, – ამ განცხადებას „პირველ რადიოსთან“ გაკეთებულ კომენტარში „სამოქალაქო მონიტორინგის ცენტრის“ თავმჯდომარე გიორგი ხაბურზანია აკეთებს.

მისი თქმით, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბოდოკია ალაპარაკდა და იმ მაღალჩინოსნებს ასახელებს, ვისაც ქრთამს უყოფდა:

– ჯოკია ბოდოკია ხელს ადებს იმ მაღალჩინოსნებს, ვისაც უყოფდა ქრთამს. ესენი არიან: გეგი ნიჟარაძე, დავით მედულაშვილი (რომელიც გახლდათ ნიჟარაძის მოადგილე) და ყოფილი ვიცე-მერი ალექსანდრე მარგიშვილი, დღეს უკვე ერთ-ერთი ააიპ-ის ხელმძღვანელი, – აღნიშნა ხაბურზანიამ.

მისი განცხადებით, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ მაღალჩინოსნების გარეშე ჯოკია ბოდოკია უბრალოდ ვერ აიღებდა ქრთამის სახით 180.000 დოლარს.

გიორგი ხაბურზანია:

– ჩვენი ინფორმაციით, ჯოკია ბოდოკია სწორედ ამ მაღალჩინოსნებს ადებს ხელს, რაც გახდა მიზეზი, რომ დღეს დავით ნარმანიას გვერდის ავლით ხდება ოდიოზური მაღალჩინოსნების გათავისუფლებები თბილისის მერიაში სპეცსამსახურების მხრიდან.

გივი თარგამაძე: „ლავას ოღლის“ აჭარაში ბოგინის აღსაკვეთად ზომები მიიღეთ“

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გივი თარგამაძე შინაგან საქმეთა სამინისტროსგან კატეგორიულად ითხოვს, განხორციელდეს რეალური ზომები ე.წ. კანონიერი ქურდის, „ლავას ოღლის“ „აჭარაში ბოგინის აღსაკვეთად“.

როგორც გივი თარგამაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რამდენიმე კვირის წინ პოლიციამ ბათუმში კოსმეტიკური ღონისძიებები ჩაატარა, როდესაც ორ წყებად იქნა დაკავებული „კანონიერი ქურდის“ „ლავას ოღლის“ მიმდევრები.

როგორც თარგამაძემ აღნიშნა, ამან არ შეცვალა რადიკალურად სიტუაცია, რადგან ეს ადამიანები არ იყვნენ ის მთავარი ბირთვის წევრები, რომელიც განაპირობებს კრიმინალური ვითარების გამწვავებას.

გივი თარგამაძე:

– სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ რამდენიმე კვირის წინ აჭარის ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ტრეფიკინგის განყოფილების უფროსი, ზვიად ქედელიძე მოემართებოდა რესტორნიდან სამსახურებრივი მანქანით ნასვამ მდგომარეობაში და დაეჯახა შემხვედრ მანქანას.

სანამ ადგილზე პატრული მივიდოდა, ქედელიძემ სიმთვრალის დასაფარად გამოიძახა თავისი თანამშრომელი, გამომძიებელი ირაკლი ანანიძე და სიტუაცია გაფორმდა ისე, თითქოს საჭესთან იჯდა სწორედ გამომძიებელი ანანიძე.

შესაბამისად, პატრულთან ვითარება მოგვარდა და მეორე მხარეს მისცეს პირობა, რომ

მანქანას შეუკეთებდნენ.

მეორე მხარე ითხოვდა ახალი მანქანის ყიდვას, რაზეც თავდაპირველად დაეთანხმა ანანიძე, შემდეგ საბოლოო ჯამში, მაინც გაკეთების ვერსია არჩია.

ამას მოყვა, არც მეტი, არც ნაკლები, ანანიძესთან „სკაიპით“ ზარი „ლავას ოღლისგან“, რომელიც გაეცნო, როგორც მინდია გორაძე, თუმცა უთხრა, რომ მისთვის ის არის ქურდი „ლავას ოღლი“.

მან კატეგორიულ ტონში უთხრა, რომ უყიდოს მანქანა ბიჭებს, რომლებიც უმანქანოდ დაუტოვა და ამისთვის მისცა გარკვეული ვადა, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

მისი თქმით, ამ ინციდენტის შემდეგ ანანიძე გენერალურ ინსპექციაში გამოიძახეს. უკან დაბრუნებულ ანანიძეს ისევ დაურეკა „ლავას ოღლიმ“ და ერთი კვირა მისცა იმისთვის, რომ ახალი მანქანა ეყიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ანგარიშსწორებით დაემუქრა.

– ასეთი ანგარიშსწორება ბათუმში განხორციელდა პროკურორის, ციხის უფროსის მოადგილის მიმართ და ბუნებრივია, ანანიძეს აქვს შეგრძნება, რომ მის მიმართაც ეს რეალური მუქარაა და ის მართლაც შეიძლება განხორციელდეს.

აქედან გამომდინარე, კატეგორიულად ვითხოვ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, განხორციელდეს რეალური ზომები „კანონიერი ქურდის“, „ლავას ოღლის“ აჭარაში ბოგინის აღსაკვეთად. ერთხელ და საბოლოოდ შეჩერდეს პროცესი, რომელიც უკვე ნელ-ნელა ვრცელდება მთელ დასავლეთ საქართველოზე და მიიღონ ზომები იმ ბირთვის წინააღმდეგ, რომელიც აჭარაში თესავს შიშს, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

მისივე თქმით, „ლავას ოღლის“ დაჯგუფების წევრია მუხრან ვახტანგაძე და იმის მაგივრად, რომ მას პასუხი აგებინონ, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა.

ინტერპრესნიუსი

ირმა ინაშვილი: „სერგეენკო ძალიან პატარა კაცი ყოფილა“

ირმა ინაშვილმა თამარ ხიდაშელის შეხვედრის დემონსტრაციულად დატოვების შემდეგ Facebook-ზე საკუთარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოხატა და მინისტრს მიმართა:

– თქვენ ჩემი, ჩემი შვილების და ჩემი ამომრჩევლის ჯანდაცვის მინისტრიც ხართ და ვწუხვარ, რომ საარჩევნო აგიტაციის პროცესში ერთი კანდიდატის სასარგებლოდ მონაწილეობთ. ამისთვის არ გვიბრძოლია 2012 წლის ოქტომბერში. ასეთ ქვეყანას არ აგაშენებინებთ!

შეხვედრის დარბაზის დატოვების შემდეგ „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარემ განაცხადა:

– ბატონი სერგეენკო კარგი მინისტრია, მაგრამ ძალიან პატარა კაცი ყოფილა. როცა საგარეჯოში გავიმარჯვებ, ბატონო მინისტრო, იმედი მაქვს, შეგრცხვებათ.

რას გულისხმობდა ირმა ინაშვილი ამ შეფასებით მას არ განუმარტავს. „ნიუსდეის“ ინფორმაციით, ირმა ინაშვილი შეხვედრაზე შეიჭრა, რომელსაც თამარ ხიდაშელი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მინისტრთან და ექიმებთან მართავდა.

სოსო ცინცაძე: „ელჩმა გეგეშიძემ პრეზიდენტ მარგველაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა“

„ამერიკულ პრესაში ჩვენი მოხვედრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“

ნათია ხურცილავა



არჩილ გეგეშიძე



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ აშშ საქართველოს პარტნიორი ქვეყანაა და ამის მიღწევას დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა და შრომა დასჭირდა. ამდენად, ამ მონაპოვრის განიავება დაუშვებელი და მიუღებელია.

სოსო ცინცაძე:

– ამერიკელმა ჟურნალისტმა ქართულ დელეგაციას, კონკრეტულად კი, პრეზიდენტს უთხრა, რომ საქართველო რადარებიდან გაქრა. პრეზიდენტიც, რასაკვირველია, დაეთანხმა, სხვაგვარად შეუძლებელი იყო, რადგან, რაც ამერიკელმა ჟურნალისტმა თქვა, სიმართლე იყო. ვინც ამერიკულ პრესას თვალყურს ადევნებს, მას შეუძლია დარწმუნდეს, რომ თვეებია, საქართველოზე არაფერი იწერება.

– ასეთი მნიშვნელოვანია ამერიკულ პრესაში მოხვედრა?

– ძალიან მნიშვნელოვანია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

– რატომ?

– ამერიკულ პრესაში მოხვედრა ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ამერიკის ხელისუფლების პოლიტიკის ინტერესის სფეროშია. ამერიკის ვერც ერთი პოლიტიკოსი პრესას იგნორირებას ვერ გაუკეთებს. ეს დემოკრატიის ნაწილიც არის, რადგან პრესას უსმენენ და იქ დაბეჭდილი სტატია რეაქციის გარეშე არ ჩაივლის. ეს არ არის წარსულის კუთვნილება, ამერიკაში გუშინდელი გაზეთის ნომერი არ არსებობს. სახელმწიფო დეპარტამენტში ყველა მნიშვნელოვანი სტატიის ანალიზი კეთდება. კონგრესიც და თეთრი სახლიც იძულებულია, ანგარიში გაუწიოს პრესაში დაბეჭდილ სტატიას. ამაშია დემოკრატიის მთელი ეშხი და ინტრიგაც.

სოსო ცინცაძე ამბობს, რომ როდესაც ამერიკელი ჟურნალისტი მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, რომ საქართველო რადარებიდან გაქრა, ეს ნიშნავს, რომ ინტერესი გაქრა. ამერიკულ საზოგადოებას, რიგითი მოქალაქიდან დაწყებული, ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორითა და კონგრესმენით დასრულებული, ინტერესი აღარ აქვს.

– სტრატეგიული პარტნიორი შეიძლება ასე მარტივად აღარ აინტერესებდეთ?

– ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიოში არსებული რეალობა. ნახეთ, რამდენი ცხელი წერტილია, რამდენი პრობლემაა. ამერიკა სტრატეგიულ პარტნიორებს შემთხვევით არ ირჩევს, მაგრამ ქართულმა დიპლომატიამ არ უნდა მოახერხოს, რომ ზურგი გვაქციონ და დაგვივიწყონ. დღეს თავს ამერიკისგან მიტოვებულად ვგრძნობთ. რა ელჩები გვყავს დღეს უცხოეთში, ეს უკვე ყველასთვის ცხადზე ცხადია. რა პრინციპების მატარებლები არიან ისინი.

– არ მოგწონთ ქართველი დიპლომატები?

– მე მათ პროფესიონალიზმზე ვსაუბრობ. ელჩი არ უნდა გახდეს საშუალო დონის ჩინოვნიკი, რომელიც ინსტრუქციას მიიღებს ვიღაცისგან და სწორედ ამის მიხედვით იმოქმედებს. ელჩისთვის მთავარი და ამოსავალი უნდა იყოს ქვეყანა და მისი სამსახური. სხვაგვარად ელჩის ფუნქცია გაუგებარი რჩება.

– ელჩის პირდაპირი დანიშნულება რა არის?

– სამშობლოს წარმოჩენა უცხო ქვეყანაში და მისი ლობირება ყველა დონეზე. ამისთვის მან არაფერი უნდა დაიშუროს. ელჩმა უნდა იმოქმედოს საკუთარი პრინციპით, განებავთ ეთიკით და დიპლომატიური კოდექსით დაწერილი თუ დაუწერელი კოდექსით.

სოსო ცინცაძემ აშშ-ში საქართველოს ელჩის, არჩილ გეგეშიძის, საქციელი ასე შეაფასა:

– ამერიკაში საქართველოს ელჩმა მიატოვა ამერიკის დედაქალაქი და პრემიერს ნიუ იორკში გაჰყვა. ეს არ იყო აუცილებლობა, რადგან გაეროში საქართველოს ჰყავს ისედაც ელჩი. ეს იყო შეურაცხმყოფელი როგორც პრეზიდენტის, ასევე მისი კოლეგის, გაეროში საქართველოს ელჩისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს განვმარტოთ: 2015 წლის 5 სექტემბერს ქ.ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. დაზიანდა 2 ავტომანქანა, რომელთაგან ერთი შინაგან საქმეთა სამინისტროს მფლობელობაში იყო.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები განახორციელეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად დაჯარიმდა შსს კუთვნილი ავტომანქანის მძღოლი ი. ანანიძე (როგორც შემთხვევის მონაწილეებმა განაცხადეს, საჭეს სწორედ აღნიშნული პირი მართავდა).

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევისას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დასავლეთის რეგიონული განყოფილების უფროსი გამომძიებლის – ზ. ქედელიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა დისციპლინურ გადაცდომას.

სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად (რაც გულისხმობს მოსამსახურისათვის შეუფერებელ ქმედებას, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს), 2015 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებით, ზ.ქედელიძე დათხოვნილ იქნა პოლიციის რიგებიდან.

საყვედურის სახით დისციპლინური სახდელი დაეკისრათ პოლიციის თანამშრომლებს: შსს-ს კრიმინალური პოლიციის დასავლეთის რეგიონული განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელ ი.ანანიძეს და პატრულ-ინსპექტორ ბ.გოგიბერიძეს.

შსს კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აცხადებს, რომ ბათუმში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით, გენერალური ინსპექციის რეაგირება იყო მყისიერი და ადეკვატური.

შსს მოუწოდებს ცალკეული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს, სხვადასხვა მედიასაშუალებით ინფორმაციის გავრცელებამდე, გადაამოწმონ ფაქტები შესაბამის უწყებაში, რათა არ მოხდეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა დეზინფორმაციის გავრცელების გზით.

შსს-ს ბელგიის ფედერაციული პოლიციის ოპერატიული ანალიზის სამსახურის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამდღიანი ვიზიტით, ბელგიის ფედერაციული პოლიციის ოპერატიული ანალიზის სამსახურის წარმომადგენლები ეწვივნენ. დელეგაციის წევრებმა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ბელგიური მოდელი გააცნეს.

შეხვედრას შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი დაესწრო.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა არის თანამედროვე საპოლიციო საქმიანობის მოდელი, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს წამყვან სამართალდამცავ სტრუქტურებში და ხელს უწყობს დანაშაულის შემცირებას, მის პრევენციას და ზრდის გამოძიების ეფექტიანობას.

ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერება და რისკების ადრეული შეფასების ეფექტიანი სისტემის დანერგვა წარმოადგენს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შს სამინისტროსადმი ევროკომისიის რეკომენდაციას. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პრაქტიკაში ეფექტური განხორციელება.

შეხვედრაში მონაწილე, შს სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლები ხელს შეუწყობენ უწყებაში ანალიტიკური საპოლიციო საქმიანობის მოდელის დანერგვას.

ღონისძიების ფარგლებში, სტუმრები პოლიციის დანაყოფებს ეწვივნენ და საქართველოს შს სამინისტროში საგამოძიებო პროცესში ანალიტიკური საქმიანობის სპეციფიკას გაეცნენ.

ვიზიტი ევროკავშირის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ხორციელდება.

ჟენევა: ქართული მხარე გალის ქართველების უფლებებს იცავს

მარიამ მჭედლიშვილი

ჟენევაში მიმდინარეობს საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი, 33-ე რაუნდი.

ქართული მხარე მოლაპარაკებებზე ტრადიციისამებრ დასვამს რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხებს.

გარდა ამისა, ეს რაუნდი იმითაა გამორჩეული, რომ საქართველოს დელეგაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ანექსირებული აფხაზეთის გალის რაიონში მცხოვრები ქართველების მდგომარეობას.

როგორც ცნობილია, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველობას აუკრძალეს მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, რაც დისკრიმინაციის გამოვლინებაა.

– საქართველოს დელეგაცია განაგრძობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონსტრუქციულ მონაწილეობას და გამოთქვამს იმედს, რომ დანარჩენი მონაწილეებიც პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მოლაპარაკებებს. ამ თვალსაზრისით დადებითი პრეცედენტები უკვე შეიქმნა წინა რაუნდებზე, – აცხადებს საქართველოს საგარეო უწყება.

ძალის გამოყენების დაუშვებლობაზე ჟენევაში, როგორც წესი, აფხაზური მხარეც საუბრობს. სოხუმი განცხადებებს აკეთებს „აფხაზეთსა და საქართველოს შორის“ ძალის გამოუყენებლობაზე.

– ჟენევის დისკუსიებში აფხაზური მხარის მონაწილეობის მთავარი მიზანია შეთანხმების ხელმოწერა ძალის გამოუყენებლობის შესახებ, – განაცხადა მოლაპარაკებების დაწყების წინ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კან ტანიამ.

მისი ინფორმაციით, სოხუმის დელეგაცია მოითხოვს ბარიერების მოხსნას აფხაზეთის მოქალაქეების მიმართ საერთაშორისო ურთიერთობებისას.

აფხაზეთის რეჟიმი მტკივნეულად განიცდის იმას, რომ აფხაზეთში მცხოვრებლებს აფხაზური საბუთებით არ უშვებენ სპორტულ შეჯიბრებებზე ან სხვა ღონისძიებებზე. სახელმწიფოები, რომლებიც ასე მოქმედებენ, ხელმძღვანელობენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებით და არ აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რაც აფხაზეთში პროტესტს იწვევს. სოხუმი საუბრობს „ევროკავშირის დისკრიმინაციულ სავიზო პოლიტიკაზე“.

ერთ-ერთი თემა, რომელიც კამათს არ იწვევს, 1992-1993 წლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიება და იდენტიფიცირებაა. ამ საკითხებზე მოლაპარაკებები გრძელდება.

აფხაზეთში კულტურული ძეგლები მძიმე მდგომარეობაშია. აფხაზურ მხარეს მიაჩნია, რომ იმისათვის, რომ ძეგლების აღსადგენად საერთაშორისო ორგანიზაციებმა თანხები გაიღონ, ჯერ ისინი უცხოელმა ექსპერტებმა უნდა შეისწავლონ. ეს პრობლემა ამ რაუნდზეც წამოიჭრა.

სოხუმი აცხადებს, რომ პროგრესი და ურთიერთგაგება საერთაშორისო ურთიერთობებში მაინც შეინიშნება. იგულისხმება თანამშრომლობა ბზის მავნებელთან ბრძოლაში. წელს აფხაზურ ბზას მატლი შეესია. მასთან ბრძოლაში სოხუმს ევროკავშირი ეხმარება.

თემა, რომლის განხილვაზეც სოხუმი ტრადიციულად უარს ამბობს, დევნილებისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებაა. ეს კი თბილისისთვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმპალეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

ვის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

„ქართუ ბანკს“ არავინ გამოგვისახლებია

ბანკის მმართველი გამოსახლების ცვლილებების პარლამენტის ინიციატივას აკრიტიკებს

საპოლიციო გამოსახლების შესაძლო გაუქმებას „ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორი მხარს არ უჭერს.

ნატო ხაინდრავა „კომერსანტთან“ ექსკლუზიურად აცხადებს, რომ იმ კანონპროექტის მიღება, რომელიც საპოლიციო გამოსახლების გაუქმებას გულისხმობს, საბანკო სისტემაზე ნეგატიურად აისახება.

„კომერსანტთან“ საუბარში ხაინდრავა აცხადებს, რომ „ქართუ ბანკი“ ფიზიკური პირების გამოსახლებაზე საერთოდ არ მუშაობს, ამაზე არ არის ორიენტირებული, თუმცა, კანონპროექტის მიღება გაზრდის გამოსახლების პერიოდს, რაც საბანკო სისტემაზე ცუდად იმოქმედებს.

– ამდენი წლის არსებობის განმავლობაში არავინ გამოგვისახლებია, ეს უნდა ჰკითხოთ „საქართველოს ბანკს“ და „თიბისი ბანკს“, – ამბობს ნატო ხაინდრავა.

გამოსახლების პროცედურა ორი თვით გადაიწევს თუ არა, ამით მსესხებელი არაფერს იღებს იმიტომ, რომ ბანკებს მსესხებელთან ურთიერთობის

მექანიზმი ამოწურული აქვთ და მეორად დაფარვის წყაროზეა წასული.

– ამის გათვალისწინებით, დროში გაჭიანურება ბანკისთვის უბრალოდ დისკომფორტია, თორემ ამით მსესხებელს თანხა გაუჩნდება და სესხს დაფარავს? – აცხადებს ხაინდრავა.

მისი თქმით, გამოსახლების დროს სასამართლო დადგენილება უკვე არსებობს და ამის შემდეგ ისევ სასამართლოს ჩართვა ძალიან უცნაურია.

– სასამართლოში ვართ მისულნი, შემდეგ მივდივართ სააღსრულებოში, ამაში გვეხმარება პოლიციის რესურსი და ისევ სასამართლოში უნდა დავბრუნდეთ? გამოსახლების პროცედურა უბრალოდ ერთი საფეხურით იზრდება, ქვეყანაში ეს ცოტა მოქნილად უნდა იყოს. მოქალაქემ ბანკს სესხი უნდა დაუბრუნოს, მისი აქტივი არავის არაფერში სჭირდება, – აცხადებს ხაინდრავა.

მისი განცხადებით, როდესაც ბანკს არაგადამხდელი კლიენტი ჰყავს, სესხი ჩამოწერილია და ბანკს ეს პრობლემას უქმნის.

– ბანკები მსესხებელთან სანამ მთლიანად არ ამოვწურავთ რესურსს, გამოსახლებამდე არ მივდივართ. შემდეგ მაქსიმალურად ცდილობენ, რომ თანხა მიიღონ და არა აქტივი, – აცხადებს ხაინდრავა.

მისი განცხადებით, ბანკების მიერ გამოსახლების ფაქტები ხდება, თუმცა სტატისტიკურად ეს ძალიან ცოტაა.

◆ ◆ ◆

„ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორი იპოთეკით დაზარალებულების თემაზეც საუბრობს.

– არ მესმის, რას ნიშნავს „იპოთეკით დაზარალებული“. არ მესმის იმიტომ, რომ იპოთეკით დაზარალებული მოქალაქე იმის გამო ვერ იქნება, რომ მისთვის ბანკს სესხი მიცემული აქვს. დაზარალებული მაშინ იქნება, თუ რამეს იქირავებს, იგირავებს და იმას წავართმევთ, – აცხადებს ხაინდრავა.

◆ ◆ ◆

კანონპროექტი საპოლიციო გამოსახლების გაუქმებაზე პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. საუბარია კანონპროექტზე, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი აღსრულება სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს.

იურისტი დავით კლდიაშვილი აცხადებს, რომ ასეთი ფორმით ამ კანონის ძალაში შესვლა დაარტყამს მთელ საკრედიტო ბაზარს, რადგან ის რეალურად არაფერს ცვლის – პირის გამოსახლება მაინც დადგება, უბრალოდ, ეს პროცესი დროში გაიწელება.

კლდიაშვილი კანონპროექტის მიღების შემთხვევაში საბანკო სესხების გაცემის პირობების გართულებასა და საპროცენტო განაკვეთების გაზრდას პროგნოზირებს, რადგან უძრავი ნივთის ლიკვიდობა მცირდება.

ამ კანონის ამოქმედების შემთხვევაში ასევე ნეგატიურ შედეგებს ელოდება დეველოპერული ბიზნესი.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.ge

„იმედი ელის“ ყოფილმა აქციონერებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს

„იმედი ელის“ ყოფილი აქციონერები სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ და აქციების იძულებითი გასხვისების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სარჩელი სასამართლოში შეიტანეს.

როგორც ყოფილმა აქციონერებმა „ინტერპრესნიუსს“ აცნობეს, სხდომა უკვე ჩანიშნულია.

კომპანიის ყოფილი აქციონერები, კომპენსაციის მოთხოვნის თაობაზე, მედიისთვის ინფორმაციას ავრცელებენ.

– 1995 წელს დაფუძნებული კომპანია „იმედი ელი“ წლების განმავლობაში სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი იყო. 1998 წლიდან უკვე ფლობდა საერთაშორისო სტატუსს. კომპანიაში სხვადასხვა დროს განხორციელდა გერმანული ინვესტიცია, ხოლო 2007 წლიდან კომპანიის აქციონერი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი EBRD გახდა.

2012 წელს „იმედი ელი“ მისი უშუალო კონკურენტის, „საქართველოს ბანკის“ შვილობილი სტრუქტურის, სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ მიერ სრულად იქნა შესყიდული, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„იმედი ელის“ ყოფილი აქციონერები ამბობენ, რომ მათი კუთვნილი კომპანიის გასხვისება აქციონერების ნებით არ მომხდარა და ქონება მათ იძულებით დაათმობინეს.

– კომპანიის გაყიდვა არც გვიფიქრია, თუმცა აღმოვჩნდით გარემოების მსხვერპლი, როცა იძულებით დაგვათმობინეს ჩვენი კუთვნილი აქციები სრულიად არასამართლიან ფასად.

ამ ყველაფერს წინ უძღოდა მოვლენათა მრავალკომპონენტიანი ჯაჭვი, რომელშიც არაერთი სტრუქტურა და დაინტერესებული პირები იყვნენ ჩაბმული. მათმა კატეგორიულმა მოთხოვნამ, დაგვეთმო აქციები, საბოლოო ჯამში კომპანიის არანებაყოფლობითი, იძულებითი გასხვისება გამოიწვია.

არსებობდა მთელი რიგი საფრთხეები, რომელიც ჩვენთან მიმართებაში ჟღერდებოდა, ასევე მითითებები, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა აქციების გასხვისებაზე უარის თქმას, ჩვენ იძულებული გავხდით, დაინტერესებული მხარის („საქართველოს ბანკი“, „ალდაგი“) შემოთავაზებულ სრულიად არაადეკვატურ ფასად გაგვესხვისებინა კომპანია, თან ისეთ პირობებში, როდესაც შემოთავაზებულ ფასზე შევაჭრების უფლებაც კი წართმეული გვქონდა, – აცხადებენ აქციონერები.

მათივე ინფორმაციით, იმ დროისათვის, როდესაც მოხდა კომპანიის გასხვისება, „იმედი ელს“ დაზღვეული ჰყავდა 250 ათასზე მეტი ფიზიკური პირი, 4000 ზე მეტი იურიდიული პირი, ჰქონდა 10 ფილიალი საქართველოში და სარგებლობდა საუკეთესო რეპუტაციით.

ამასთანავე, კომპანია ფლობდა 10 რეგიონალურ ჰოსპიტალს, მათ შორის, აჭარაში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში. **ინტერპრესნიუსი**

1 კილოგრამ ალექსანდროულსა და მუჯურეთულს სახელმწიფო 5 ლარად ჩაიბარებს

სახელმწიფო 1 კილოგრამ მწიფე ალექსანდროულსა და მუჯურეთულს 5 ლარად, არაკონდიციურ ყურძენს, რომლის შაქრიანობა 21 გრადუსზე ნაკლები იქნება, 3 ლარად, ძელშავისა და შერეული ჯიშის ყურძენს კი 70 თეთრად მიიღებს.

ამის შესახებ გუშინ, 7 ოქტომბერს, გამართულ ბრიფინგზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომელმაც რაჭის რეგიონში რთველის დაწყებასთან დაკავშირებით ისაუბრა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, რამდენიმე დღეში რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში დაიწყება რთველი. მისი თქმით, რთველის საორგანიზაციო საკითხები ფაქტობრივად დასრულებულია.

დანელიამ აღნიშნა, რომ წელს რაჭაში არის კარგი მოსავალი და ეს გაზრდილია შარშანდელ და შარშანწინდელ მაჩვენებლებთან შედარებით.

– სახელმწიფო მზად არის, ჩაიბაროს ჭარბი ყურძენი, იმიტომ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მაღალმთიანი რეგიონების ხელშეწყობა, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფოს ხელშეწყობით, მოსახლეობიდან ყურძნის მიმღები 6 პუნქტი გაიხსნება, რომლებიც 08.00 საათიდან 18.00 საათამდე იმუშავებენ.

ბენზინისა და დიზელის იმპორტი გაიზარდა

ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის 9 თვის მაჩვენებელი 100,5 ათასი ტონით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ამის შესახებ ინფორმაციას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი ავრცელებს.

– მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 102,7 ათასი ტონა, რაც 1,7 ათასი ტონით ნაკლებია აგვისტოს თვის მაჩვენებელთან შედარებით. მათ შორის, სექტემბრის თვეში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 50,6 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა – 52,1 ათასი ტონა, – ნათქვამია განცხადებაში.

„ივანიშვილის რეჟიმის მოსვლის შემდეგ ქვეყანამ 7 მილიარდი დაკარგა“

ნაციონალი დეპუტატის, სერგო რატიანის განცხადებით, მთავრობის მიერ წარმოდგენილი 2016 წლის ბიუჯეტით შეუძლებელია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა.

როგორც სერგო რატიანმა პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 2016 წელს მთავრობა ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულ ხარჯებს 57 მილიონი ლარით ზრდის.

– ეს იმ პირობებში, როდესაც 3 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული ხარჯებისთვის მთავრობამ ბიუჯეტი 389.2 მილიონი ლარით გაზარდა. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც ივანიშვილის რეჟიმის მოსვლის შემდეგ ქვეყანამ დაკარგა 7 მილიარდი. 2016 წელსაც პენსიონერების პენსია არ იზრდება. მთავრობა ზრუნავს არა ხალხზე, არა ქვეყნის ეკონომიკაზე, არამედ საკუთარ თავზე, – განაცხადა სერგო რატიანმა.

მისივე განცხადებით, ამ ბიუჯეტით ასევე შეუძლებელია ლარის კურსის სტაბილიზაცია.

როგორც მან აღნიშნა, აუცილებელი იყო ერთი მხრივ, შეკვეცილიყო და შემცირებულიყო ბიუროკრატიული ხარჯები და მეორე მხრივ, შემცირებულიყო გადასახადები.

– წელს წარმოდგენილი ბიუჯეტით ფაქტობრივად შეუძლებელია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი მოცემულ მდგომარეობაში არის ამ მთავრობის გადადგომა და ვადამდელი არჩევნები. სხვა გზა, უბრალოდ, არ რჩება, – განაცხადა სერგო რატიანმა.

თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი ბიუჯეტის პროექტს მხარს უჭერს

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მხარს უჭერს.

კომიტეტის სხდომაზე, მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, ძირითადი ყურადღება ძალოვანი სამინისტროების დაფინანსების საკითხებზე გამახვილდა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის ინფორმაციით, 2016 წლის პრიორიტეტად კვლავაც ჯანდაცვა და განათლების მიმართულებები განიხილება.

რაც შეეხება ძალოვანი უწყებების დაფინანსებას, ასიგნებები შემდეგნაირად გადანაწილდა: თავდაცვის სამინისტრო – 670 მლნ ლარი;

შინაგან საქმეთა სამინისტრო – 595 მლნ ლარი;

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური – 95 მლნ ლარი.

კომიტეტმა საბიუჯეტო პროექტს მხარი დაუჭირა.

სემეკმა მოქალაქეებს 62.850 ლარი ჩამოაწერა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) მოქალაქეებსა და კომპანიებს შორის არსებული დავების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებების მესამე კვარტალის ანგარიშს აქვეყნებს.

კომპანიის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, სექტორების მიხედვით მოქალაქეთა საჩივრების უმეტესობა შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის“, სს „თელასისა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ დაფიქსირდა, ხოლო ჩამოწერილი თანხების ოდენობამ 62.850.06 ლარი შეადგინა.

კომისია შეახსენებს მოქალაქეებს, რომ თუ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას, მიმართონ სემეკს ან სემეკთან არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს. მოქალაქეებს კონსულტაციების მიღება შეუძლიათ როგორც ცხელ ხაზზე 242 01 80, ასევე ფეისბუქის კომისიის ოფიციალურ გვერდზეც.

მაია ნიკოლეიშვილი: „ეროსი კიწმარიშვილის მანქანაში სხვა პირის ყოფნა არ დასტურდება“

„გვიჩიანის საქმე შეიძლება გადაიხედოს“

შორენა კოწოწაშვილი

დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი ეროსი კიწმარიშვილის და სხვა გახმაურებული მკვლელობების შესახებ ესაუბრა „ახალ თაობას“.



– თქვენ ეროსი კიწმარიშვილის საქმეში იყავით ჩართული. დღეს რუსთავი 2-ის ირგვლივ დიდი ხმაურია. მთავარი პროკურორის მოადგილემ განაცხადა, რომ კიწმარიშვილის საქმეზე გამოძიება მოკლე პერიოდში დასრულდება.

– არ ვიცი, დაახლოებით ხუთი თვე იქნება, რაც ჩემი მოსაზრება ვთქვი, ეს დავუფიქსირე ოჯახსაც, პროკურატურასაც და ამის მერე პროცესებში უკვე აღარ ვმონაწილეობ. იმიტომ, რომ ის, რაც შეიძლებოდა სასამართლო მედიცინის გამოყენებით გაკეთებულიყო, მაქსიმალურად გაკეთდა. მეორე პირის მანქანაში ყოფნის კვალი, როგორც სასამართლო მედიკმა, იქ ვერ ვნახე.

– ანუ ვერსია გამორიცხეთ, რომ კიწმარიშვილის მანქანაში მკვლელობის დროს სხვა პირიც იმყოფებოდა?

– იქ სხვა პირის კვალი არ აღმოჩნდა. გარედან მიბჯენით ჭრილობის მიყენება შეუძლებელია. მით უმეტეს, ვცადეთ სხვადასხვა პოზიციები – ფანჯრიდან და ა.შ. შეუძლებელია იმ სისხლის კვლების გათვალისწინებით, რაც მანქანაში იყო. აქედან გამომდინარე გამოირიცხა იქ მეორე პირი, რომელსაც ფიზიკურად შეეძლო დაზიანება მიეყენებინა, ოღონდ ჩვეულებრივ პირობებში ვამბობ, – თუ ვიღაც ჭერში ეკიდა ან რაღაც სხვა იყო, ეს არ ვიცი.

– კიწმარიშვილის საქმეზე პროკურატურის პოზიციას იზიარებთ?

– პროკურატურას კიწმარიშვილის საქმეზე ჯერ პოზიცია არ აქვს. იმედია, პროკურატურა თავის პოზიციას შობს.

– დღეს რუსთავი 2-ის თემა ძალიან ხმაურიანია. იკვეთება, რომ ხელისუფლების ინტერესები ამ ტელეკომპანიის წინააღმდეგ არის მიმართული? არის ეს დამოუკიდებელი მედიისთვის ხელის შეშლა?

– მე ვხედავ სასამართლოში კონკრეტული პირის დავას კონკრეტული ტელეკომპანიის წინააღმდეგ. არ შეიძლება, ეს გადმოვიტანო ხელისუფლებაზე და ასეთ სიბრტყეებში. კაბელების საქმის შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ დარბაზიდან გამოუშვა ეს ადამიანები, სასამართლო იყო კარგი და დღეს, ამ შემთხვევაში, ცუდია?! აქ არის სასამართლო დავა კერძო პირსა და კერძო სუბიექტს შორის. ამიტომ ეს საქმე სასამართლომ განიხილოს.

– თქვენ გია გვიჩიანის საქმეზეც მუშაობდით, რომელიც „თელასის“ ფინანსური დირექტორის მკვლელობისთვის იხდის სასჯელს. შეიძლება ამ საქმემ სკანდალური განვითარება ჰპოვოს?

– გვიჩიანის შემთხვევაში მართლაც დავამთავრე დასკვნაზე მუშაობა. ადვოკატს დღე-დღეზე გადავცემ. ჩემი აზრით, ეს სერიოზული დასკვნაა, მაგრამ მე სკანდალურს არ ვუწოდებ. მე, უბრალოდ, როგორც ექსპერტმა, ვნახე, რაც იქ არის. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა. თუ ამ დასკვნას არ დაუწყებენ ქვების სროლას სასამართლო და პროკურატურა, ის სკანდალური არ იქნება. ის იქნება ერთი ნაშრომი, რომელზეც მართლაც დიდი შრომა დამჭირდა. მაგრამ თუ წინააღმდეგობა იქნება, მაშინ გახდება სკანდალური.

– ეს თქვენი დასკვნა თავდაყირა აყენებს ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმის აქამდე ცნობილ დეტალებს და საზოგადოებისთვის ცნობილ განაჩენს?

– ალბათ, სერიოზულად საფიქრალი იქნება. ვნახოთ, სასამართლო როგორ მიიღებს ამ დასკვნას და როგორ იმსჯელებს მასზე.

– გვამის ექსპერტიზა ჩაატარეთ?

– არა. მიმაჩნია, რომ იქ არის სხვა რაკურსიდან დანახული ფაქტები, რომელთაც მნიშვნელობა ექნება საქმის გადახედვის კუთხით. შეიძლება საქმე პროკურატურაშიც აღმოჩნდეს. თუ პროკურატურა იმსჯელებს, ხომ კიდევ უკეთესი. პატარა რეზიუმესავით მინდა გავაკეთო: ამ წელს, ფაქტობრივად, ომი არ მქონია არც სასამართლოსთან და არც პროკურატურასთან იმიტომ, რომ ურთიერთობები არის კორექტული.

– რა ხდება, ძველ განაჩენებს მოსამართლეები აღარ იცავენ?

– არა, ძველ განაჩენებს როგორ არ იცავენ. მაგრამ ნინო გვენეტაძის მოსვლის მერე, სასამართლო ძალიან შეიცვალა დადებითისკენ. მე თბილისზე ვსაუბრობ ძირითადად. თბილისის და სააპელაციო სასამართლო. ქუთაისში ჯერ სასიკეთო ვერაფერი დავინახე.

– მაგალითს ხომ ვერ გვეტყვით?

– თბილისში, მაგალითად, ავტობუსის მძღოლის მკვლელობა ედებოდა ბრალად ადელ ოზმანიანს. იქ მოსამართლე ბოგიანიშვილი ობიექტური იყო. როდესაც მოსამართლე ბადრი კოჭლამაზიშვილი იხილავს საქმეს, ეს არის ჩემთვის ერთი სიამოვნება, იმიტომ, რომ ვიცი, ის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ყველა სიღრმეში წამოვა. მოსამართლე დარახველიძემ, რომელმაც ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ჩემი დასკვნა იყო, მკვლელობაში ბრალდებული ორი ძმა დარბაზიდან გაათავისუფლა იმიტომ, რომ არ დასტურდებოდა მათი მხრიდან მკვლელობის მცდელობა და მკვლელობა.

სულ რამდენიმე დღის წინ სააპელაციო სასამართლოში მზია ლომთათიძემ დააყენა წარმოუდგენელი განაჩენი. მან დააყენა გამამართლებელი განაჩენი ახალგაზრდა ბიჭის, რომელსაც კოპალიანმა პირველ ინსტანციაში 16 წელი მიუსაჯა – ოთხი პირის მკვლელობის მცდელობა, დაჭრები იყო. სააპელაციო სასამართლო დიდი ხანი იხილავდა. იყო დასკვნა და პროკურორთან სერიოზული ომი ამ საქმეზე. მიხარია, რომ მზია ლომთათიძემ ასეთი განაჩენი დააყენა და დარბაზიდან გაათავისუფლა დაკავებული პირი.

ცალსახად ჩანდა, რომ იქ იყო არა ერთი, არამედ რამდენიმე დანა და ყველაფერი ამ ბიჭს ბრალდებოდა. ეს ისეთი თვალსაჩინო იყო, რომ მოსამართლე ამ სიღრმეებში რომ ჩავიდა და გაიაზრა ეს ყველაფერი, საოცრად სამართლიანი აღმოჩნდა. შესაბამისად, გაბედული და ობიექტური განაჩენიც დააყენა.

განცხადება

1) შპს „სასწავლო უნივერსიტეტი რუბიკონი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად შემდეგ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

ვაკანტური ადგილები:

2) პროფესორი – 3 ვაკანსია;
3) ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია;
4) ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია;
5) ასისტენტი – 1 ვაკანსია.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა:

ვაკანტური ადგილები:

1) პროფესორი – 2 ვაკანსია;
2) ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია;
3) ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია;
4) ასისტენტი – 1 ვაკანსია

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა:

ვაკანტური ადგილები:

1) პროფესორი – 2 ვაკანსია;
2) ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია;
3) ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია;
4) ასისტენტი – 1 ვაკანსია

აგრონომიის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

ვაკანტური ადგილები:

1) პროფესორი – 1 ვაკანსია;
2) ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია;
3) ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია;
4) ასისტენტი – 1 ვაკანსია.

ზოგადმაპროფილებელი სასწავლო მოდულის განსახორციელებლად შემდეგი მიმართულებებით:

– ქართულენოვანი ფილოლოგია
– ინგლისურენოვანი ფილოლოგია
– ფსიქოლოგია
– ფილოსოფია

ვაკანტური ადგილები:

პროფესორი – 2 ვაკანსია ;
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი – 2 ვაკანსია;

საკონკურსო კრიტერიუმები პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად;

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;

2) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება-ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3) უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია და ერთი მონოგრაფია შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.

საკონკურსო კრიტერიუმები ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;

2) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება-ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3) უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია და შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.

საკონკურსო კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;

2) უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია და ერთი მონოგრაფია შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.

საკონკურსო კრიტერიუმები ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად:

1) აკრედიტებული ან მასთან გათანაბრებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი.

დამატებითი (არასავალდებულო კრიტერიუმები):

1) სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება;

2) მონაწილეობა საერთაშორისო ან/და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში;

3) სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;

4) სახელმძღვანელოს ავტორობა ან/და თანაავტორობა შესაბამის დარგში.

კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგის აკადემიური თანამდებობისა და განსახორციელებელი პროგრამის ენის მითითებით (განაცხადი შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

2) ავტობიოგრაფია (CV) დეტალური ინფორმაციით კანდიდატის არა მარტო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, არამედ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ, ხოლო პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად – შესაბამისი პროფესიული გამოცდილების შესახებ (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

3) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

4) შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

5) შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასისტენტისთვის)(ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);

6) 2 ფოტოსურათი ზომით s ;

7) კონკურსანტის მიერ შედგენილი შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი (კონკურსანტის სურვილისამებრ);

8) უცხოენოვანი პროგრამის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია.

კონკურსის ეტაპები:

პირველი ეტაპი – კონკურსში მონაწილე კანდიდატთა დოკუმენტაციის შეფასება/დამუშავება წინამდებარე საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით;

მეორე ეტაპი – პირველი ეტაპის წარმატებით გავლილ კანდიდატებთან გასაუბრება.

კონკურსის გამოცხადების თარიღი: 08 ოქტომბერი 2015 წელი.

კონკურსის ვადები:

1. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 08 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით.

2. კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 23 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.

3. კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 29/30/31 ოქტომბერს.

4. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 02 ნოემბერს.

საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისათვის:

კონკურსანტთა განაცხადის მიღება იწარმოებს როგორც ელექტრონული სახით Ms.baidauri@mail.ru, ასევე ქაღალდის მატარებელზე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში შემდეგ მისამართზე; თბილისი, ნუცუბიძის ქ.161 ტელ:555 180 140; 591 13 49 87

„ნაციონალებთან ალიანსი ალასანიასთვის პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება“

არჩილ გამზარდია პრეზიდენტს არ ურჩევს ნაციონალების აქციაზე მისვლას

ნონა ცაბაძე

ნაციონალები მთავრობის გადადგომას მოითხოვენ და ვადამდელი არჩევნებით იმუქრებიან.

ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია ამბობს, რომ ნაციონალები გამუდმებით ცდილობენ, დესტრუქციული პროცესები შექმნან. სულ ცდილობენ აქციებზე ხალხის მოტყუებით მიყვანას ფსევდოლოზუნგებით.

– რისი იმედი აქვთ ნაციონალებს?

– ეკონომიურად მძიმე ვითარებაა ქვეყანაში, ლარი გაუფასურდა და ისინი ფიქრობენ, იქნებ ხალხი გამოვიდეს ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს სათავისოდ გამოიყენონ.

– რამდენად გამოუვათ?

– ეს ცალკე თემაა. ნაციონალური მოძრაობა ხვდება, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის შანსი პატარა აქვთ და პარლამენტშიც უფრო მცირე წარმომადგენლობით მოხვდებიან, ვიდრე დღეს არიან. მათ საზოგადოების აყოლიება ძალიან გაუჭირდებათ. შესაძლოა, ერთი-ორი ოპოზიციური პარტიის აყოლიება შეძლონ.

– საუბარია, რომ ნაციონალებს ირაკლი ალასანია და მისი გუნდი შეუერთდება. ამაზე რას ფიქრობთ?

– ალასანიას შემთხვევა სპეციფიკურია. ბატონი ირაკლი როდესაც წავიდა ხელისუფლებიდან თუ გაუშვეს, თავისუფალ დემოკრატებს ჰქონდათ ყველა პირობა, რომ მესამე ძალად ქცეულიყვნენ, რომლებიც პირველ ეტაპზე გადაფარავდნენ ნაციონალურ მოძრაობას.

არჩილ გამზარდიას მტკიცებით, ირაკლი ალასანიას მთავარი კოზირი დასავლურობა იყო, მაგრამ რესპუბლიკური პარტიის კიდევ უფრო დაახლოებამ „ოცნებასთან“ და ხელისუფლებაში გააქტიურებამ ალასანიას ეს განსაკუთრებული ნიშა წაართვა.

– დღეის მოცემულობით, ალასანიას პარტიის შანსები მინიმალურია. შესაძლოა, მათ ბარიერიც კი ვერ გადალახონ, – ამბობს ანალიტიკოსი.

– ანუ ალასანიას პარტიის შანსი ნულის ტოლია?

– თავისუფალ დემოკრატებს ერთადერთი შანსი რჩებათ, რომ ეგებ ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად როგორღაც მოახერხონ პარლამენტში შეღწევა. თუ ეს ვითარება არ იქნება, მაშინ ირაკლი ალასანიას ნამდვილად არაფერში სჭირდება ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ყოფნა.

ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ნაციონალებთან ალიანსი ალასანიასთვის პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

– ნაციონალური მოძრაობა რას მოიგებს ამ ყველაფრით?

– ნაციონალური მოძრაობა პრაქტიკულად იყო უკუგდებული როგორც საზოგადოების, ისე ყველა პოლიტიკური პარტიისაგან, გარდა მისი სატელიტი პარტიებისა. ამიტომ სხვა პარტიებთან თანამშრომლობა ნაციონალებს მისცემს მეტ ძალას. თუმცა ოპოზიცია მკვეთრ შეცდომას დაუშვებს, თუ ნაციონალურ მოძრაობას დაუკავშირდება.

გამზარდიას აზრით, ნაცმოძრაობა არ არის სანდო პარტნიორი და ეს პოლიტიკურ პარტიებს კარგად უნდა ახსოვდეთ. თვლის, რომ თუ საჭირო გახდა, ნაცები მათ დაპატიმრებასაც არ მოერიდებიან და ეს ერთხელ უკვე გააკეთეს.

– თუ ოპოზიციას სურს, შანსები გაუზარდოს, მან უნდა უზრუნველყოს ნაციონალების ჩამოშორება პოლიტიკური ბაზრიდან.

– ეს რთული არ იქნება?

– თუ ყველა პოლიტიკური ძალა ერთად მოახერხებს ნაციონალური მოძრაობის ჩამოშორებას, ყველა მათგანს „ქართული ოცნების“ დამარცხების ბევრად მეტი შანსი გაუჩნდება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ „ოცნებას“ დაბალი რეიტინგი აქვს. მას მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ფონზე შეუძლია წარმატების მიღწევა.

– ექსპერტთა და საზოგადოების ნაწილი საუბრობს, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობა გაძლიერდა.

– რაში გაძლიერდა?! ნაციონალური მოძრაობა იყო პროვოკაციული, დესტრუქციული და ეს შენარჩუნებული აქვს. ფინანსურად ის ყოველთვის ძლიერი იყო. მას წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციები, აქვს საკუთარი ტელევიზია, საერთაშორისო ასპარეზზე დაქირავებული ჰყავს ლობისტური ჯგუფები. სხვა მხრივ მათ მოძლიერებას მე ვერ ვხედავ.



– ნაციონალები ფართომასშტაბიან აქციას აანონსებენ. კულუარებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ მათ აქციაზე მისვლას პრეზიდენტი მარგველაშვილი გეგმავს. ეს რამდენად რეალურად გეჩვენებათ?

– გიორგი მარგველაშვილი საკმაოდ უცნაური პოლიტიკური სუბიექტია. ის ცდილობს, რაღაც ბალანსი დაიცვას, ხან „ოცნების“ მხარდაჭერას გამოხატავს და ხან – ნაციონალური მოძრაობის, ხანაც მათ წინააღმდეგ გამოდის. ხანაც ცდილობს, რაღაც ახალი პოლიტიკური კულტურის სტანდარტი შექმნას. ეს ყველაფერი გარედან ძალიან საინტერესო დასანახია, თუმცა პიროვნება არაპროგნოზირებადია. ამიტომ, ძნელია ივარაუდო, რა შეიძლება გააკეთოს მან.

– თუ მაინც მივა?

– თუ ის მივა ნაციონალების აქციაზე, მაშინ უნდა დაასაბუთოს, რისთვის მივიდა. თუ იტყვის, რომ ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესებს გულშემატკივრობს, მაშინ მან უნდა იაროს ყველა ამგვარ აქციაზე. ყველაფრის მიუხედავად, ვთვლი, რომ მისი მხრიდან ეს არასწორი და არაეთიკური საქციელი იქნება ხალხის მიმართ, მის პოლიტიკურ პარტნიორებს რომ თავი დავანებოთ.

მარგველაშვილის ნაციონალების აქციაზე მისვლა მისთვის ძალიან წამგებიანი იქნება.

უჩა ნანუაშვილი შერჩევითი სამართლის შესახებ ალაპარაკდა

საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის შეფასებით, ქუთაისში, პარლამენტთან გამართული აქციის მონაწილეებისთვის აღკვეთის ღონისძი-

ების სახით პატიმრობის შეფარდება დაუსაბუთებელია და შერჩევითი მართლმსაჯულების შესახებ ეჭვებს აჩენს.

როგორც სახალხო დამცველის განცხადებაშია აღნიშნული, სახელმწიფოს ვალდებულებაა შექმნას ეფექტური მექანიზმები ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად და ყველას მიეცეს აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა.

– სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა ასევე, უზრუნველყოს იმ საპროტესტო აქციაში მონაწილე პირთა უსაფრთხოება, რომელიც გამოხატვის თავისუფლების სტანდარტის დაცვით მიმდინარეობს;

დაიცვას ძალადობისგან აქციის მონაწილეებიც და პროტესტის ადრესატებიც.

ამავე დროს, შეუძლებელია, ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების გამოხატვის თავისუფლებითა თუ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაცვით გამართლება. დაუშვებელია, სახელმწიფომ კანონის შესაბამისი კვალიფიკაცია არ მისცეს სამართლებრივი სივრცის მიღმა დარჩენილ ფაქტებს, – ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

ნიუსპრესი

აშშ-ში ლობისტურ კომპანიებზე 9,6 მილიონი დოლარია დახარჯული

აშშ-ს კონგრესისთვის წარდგენილი ანგარიშებიდან ირკვევა, 2008-2015 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე სულ დაიხარჯა 9,585,115.04 აშშ დოლარი, ხოლო სხვადასხვა კერძო პირებისა და პარტიების მიერ იმავე პერიოდში დაიხარჯა 5,270,490.09 აშშ დოლარი.

ინფორმაციას ამის შესახებ, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ ავრცელებს.

კვლევის თანახმად, ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა, 7.2 მლნ აშშ დოლარი 2012 წელს დაიხარჯა.

– აღნიშნული მეტწილად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ საქართველოში ამ პერიოდშისაპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება მიმდინარეობდა და სახელმწიფო უწყებებთან ერთად ლობისტური საქმიანობის დაფინანსებაზე ხარჯები გაწია ასევე ბიძინა ივანიშვილმა და მისმა პოლიტიკურმა ჯგუფმა.

ამ წლების განმავლობაში გამოიკვეთა სამი ყველაზე მსხვილი აქტორი, ვინც აშშ-ში ლობისტურ საქმიანობას ეწეოდა: საქართველოს მთავრობა, ეროვნული უშიშროების საბჭო და ბიძინა ივანიშვილი, რომლებზეც ჯამურად, 2008-2015 წლებში გადახდილი მთლიანი თანხის 98%, ანუ 14,6 მლნ აშშ დოლარი მოდის, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

როგორც IDFI-ს ანალიზი ცხადყოფს, აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასი ათასობით აშშ დოლარი ირიცხება, რის შესახებ ინფორმაციაც საქართველოში ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია.

ნიუსპრესი

შალვა ოგბაიძე: „გია ცაგარეიშვილმა საინფორმაციო ღრუ გამოირეცხოს“

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი შალვა ოგბაიძე, პარლამენტარ გია ცაგარეიშვილის იმ განცხადებას გამოეხმაურა, როდესაც ალასანიას თანაპარტიელმა დაუსრულებელი მშენებლობის გამო მერია და საკრებულო გააკრიტიკა.

ოგბაიძე პარლამენტის წევრს ურჩევს, მთელი საკრებულოს შემადგენლობას უარყოფით კონტექსტში ნუ იხსენიებს და ვიდრე რაიმე მსგავსის თქმას დააპირებს, ჯერ „საინფორმაციო ღრუ გამოირეცხოს“.

– საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ გია ცაგარეიშვილს:

მთელ საკრებულოს უარყოფით კონტექსტში რომ ახსენებ, საინფორმაციო ღრუ გამოირეცხე, თუ ვნებავს მოგეხმარები გამორეცხვაში. გირჩევ დააკონკრეტო, – აცხადებს შალვა ოგბაიძე.

ნიუსპრესი

განცხადებები

ვასნავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

მჯუნაობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძლურების, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ყველა ზომის „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● შეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

ევროპა საგზურებს ელის

დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებია და 3 ჯგუფში ბევრი რამ გადაწყდება.

ე ჯგუფი

საქართველო – გიბრალტარი

1.03 11.0 26.0

გიბრალტარის სადებიუტო სეზონი. გუნდმა ყველა ისტორია დაწერა, ქულების გარდა. იმედია, ეს ჩვენთან არ მოხდება.

ერთმანეთში ერთხელ ვითამაშეთ, წინა წრეში, პორტუგალიაში, სადაც საშინაო მატჩებს ატარებს ჩვენი მეტოქე და გელაშვილის, ოქრიაშვილისა და კანკავას გოლებით 3:0 ვიმარჯვეთ.

ირლანდია – გერმანია

6.5 4.2 1.5

ირლანდიამ თუ მოიგო, მინიმუმ პლეი ოფს გაინაღდებს, მაგრამ ასე არ ფიქრობს გერმანია, რომელსაც ამ შემთხვევაში საქმე გაურთულდება ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად.

ერთმანეთში 19-ჯერ აქვთ ნათამაშევი. გერმანია დიდ უპირატესობას არ ფლობს – 9 მოგება, 5 ფრე და 5 წაგება. ბურთების შეფარდება 35:23 ბუნდესნაკრების სასარგებლოდ.

შოტლანდია – პოლონეთი

2.75 3.1 2.62

შოტლანდიელთა შანსი, რომ შეინარჩუნოს საპლეიოფო ადგილისთვის ბრძოლის შანსი. წაგების შემთხვევაში ბრიტანელები უკვე ყველაფერს დაკარგავენ – შესაძლოა, მწვრთნელსაც. პოლონეთი კი მოსაგებად იბრძოლებს. ქულები სჭირდება და იმიტომ.

საკუთნიო					ცხრილი:	
1.გერმანია	8	6	1	1	22:7	19
2.პოლონეთი	8	5	2	1	29:7	17
3.ირლანდია	8	4	3	1	17:5	15
4.შოტლანდია	8	3	2	3	14:10	11
5.საქართველო	8	2	0	6	5:14	6
6.გიბრალტარი	8	0	0	8	2:46	0

წინა მატჩები:

საქართველო-ირლანდია 1:2
გერმანია-შოტლანდია 2:1
გიბრალტარი-პოლონეთი 0:7
ირლანდია-გიბრალტარი 7:0
შოტლანდია-საქართველო 1:0
პოლონეთი-გერმანია 2:0
გერმანია-ირლანდია 1:1
გიბრალტარი-საქართველო 0:3
პოლონეთი-შოტლანდია 2:2
საქართველო-პოლონეთი 0:4
გერმანია-გიბრალტარი 4:0
შოტლანდია-ირლანდია 1:0
საქართველო-გერმანია 0:2
შოტლანდია-გიბრალტარი 6:1
ირლანდია-პოლონეთი 1:1
პოლონეთი-საქართველო 4:0
ირლანდია-შოტლანდია 1:1
გიბრალტარი-შოტლანდია 0:7
საქართველო-შოტლანდია 1:0
გერმანია-პოლონეთი 3:1
გიბრალტარი-ირლანდია 0:4
შოტლანდია-გერმანია 2:3
ირლანდია-საქართველო 1:0
პოლონეთი-გიბრალტარი 8:1

მომავალი მატჩები:
11 ოქტომბერი:
გერმანია-საქართველო
პოლონეთი-ირლანდია
გიბრალტარი-შოტლანდია

ი ჯგუფი

ალბანეთი – სერბეთი

2.75 2.87 2.87

ალბანელების შანსი, პლეი ოფის გარეშე მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატზე. მეტოქის სახელი სერიოზულია, მაგრამ ამ შესარჩევში უსუსტესად გამოიყურება – ვისაც გაუხარდება, უგებს. პლუს ქულების დანაკლისი აქვს და სწორედ ალბანეთთან მატჩის გამო. ამჯერად მოახერხებს მოტივაციას ალბანეთთან?

ერთმანეთში 9 მატჩი აქვთ გამართული და ალბანეთს მხოლოდ ის ერთი ტექნიკური მოგება აქვს, პლუს 2 ფრე. დანარჩენი სერბებისაა. ბურთებიც – 20:11.

პორტუგალია – დანია

1.65 3.50 5.75

საინტერესო ჯახი, რომელსაც ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია...

პირველი ადგილი, მეორე, პლეი ოფი... არადა, ეს ორივე შეუძლია.

ურთიერთობებში პორტუგალია ჯაბნის – 9 მოგება და 2 ფრე მხოლოდ 3 წაგების წინააღმდეგ. ბურთები 30:10-ზეა.

საკუთნიო					ცხრილი:	
1.პორტუგალია	6	5	0	1	8:4	15
2.დანია	7	3	3	1	8:4	12
3.ალბანეთი	6	3	2	1	7:3	11
4.სომხეთი	7	0	2	5	5:11	2
5.სერბეთი	6	1	1	4	5:11	1

წინა მატჩები:

დანია-სომხეთი 2:1
პორტუგალია-ალბანეთი 0:1
სომხეთი-სერბეთი 1:1
ალბანეთი-დანია 1:1
დანია-პორტუგალია 0:1
სერბეთი-ალბანეთი 0:3
(ტექნიკური)
პორტუგალია-სომხეთი 1:0
სერბეთი-დანია 1:3
ალბანეთი-სომხეთი 2:1
პორტუგალია-სერბეთი 2:1
სომხეთი-პორტუგალია 2:3
დანია-სერბეთი 2:0
სერბეთი-სომხეთი 2:0
დანია-ალბანეთი 0:0
სომხეთი-დანია 0:0
ალბანეთი-პორტუგალია 0:1

მომავალი მატჩები:
11 ოქტომბერი:
სერბეთი-პორტუგალია
სომხეთი-ალბანეთი

ფ ჯგუფი

უნგრეთი – ფარერები

1.3 4.8 13.0

კუნძულელებმა თავისი საქმე გაიკეთეს, ბერძნებს ორჯერ მოუგეს. ეს მიღწევაა. მეტის პრეტენზია თუ აქვთ, უნგრელებთან უნდა დაამტკიცონ. თავად უნგრელებს კი მოგება სჭირდებათ, ფარერებზე 1:0 მოიგეს და ახლა მეტს შეეცდებიან.

რუმინეთი – ფინეთი

1.7 3.3 6.0

ფინალებს აქამდე ვლახებისთვის არ მოუგიათ და დღეს თუ შეძლებენ, არათუ მასპინძლებს გაურთულებენ საქმეს, თავის მიზნებსაც გამოიკეთებენ. ვნახოთ, რა მოხდება – რუმინეთი უდავო ფავორიტი არ ჩანს.

ურთიერთშეხვედრები სკანდინავიელების წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხამს. 9 მატჩში მოგება არ აქვთ, მხოლოდ 2 ფრე და 7 მარცხი.

ჩრ.ირლანდია – საბერძნეთი

2.62 2.7 3.2

პირველადგილოსანი და ბოლოადგილოსანი ერთმანეთს კი ხვდებიან, თუმცა არავინ იცის, რა მოხდება. ურთიერთშეხვედრებში ბერძნებს უპირატესობა კი აქვთ, მაგრამ დღეს მოტივაციის გარეშე ითამაშებენ ბელფასტში.

საკუთნიო					ცხრილი:	
1.ჩრ.ირლანდია	8	5	2	1	12:6	17
2.რუმინეთი	8	4	4	0	7:1	16
3.უნგრეთი	8	3	4	1	6:4	13
4.ფინეთი	8	3	1	4	7:8	10
5.ფარერები	8	2	0	6	5:12	6
6.საბერძნეთი	8	0	3	5	2:8	3

წინა მატჩები:

უნგრეთი-ჩრ.ირლანდია 1:2
ფარერები-ფინეთი 1:3
საბერძნეთი-რუმინეთი 0:1
რუმინეთი-უნგრეთი 1:1
ფინეთი-საბერძნეთი 1:1
ჩრ.ირლანდია-ფარერები 2:0
საბერძნეთი-ჩრ.ირლანდია 0:2
ფინეთი-რუმინეთი 0:2
ფარერები-უნგრეთი 0:1
საბერძნეთი-ფარერები 0:1
უნგრეთი-ფინეთი 1:0
რუმინეთი-ჩრ.ირლანდია 2:0
ჩრ.ირლანდია-ფინეთი 2:1
რუმინეთი-ფარერები 1:0
უნგრეთი-საბერძნეთი 0:0
ფინეთი-უნგრეთი 0:1
ჩრ.ირლანდია-რუმინეთი 0:0
ფარერები-საბერძნეთი 2:1
ფარერები-ჩრ.ირლანდია 1:3
საბერძნეთი-ფინეთი 0:1
უნგრეთი-რუმინეთი 0:0
ფინეთი-ფარერები 1:0
ჩრ.ირლანდია-უნგრეთი 1:1
რუმინეთი-საბერძნეთი 0:0

მომავალი მატჩები
11 ოქტომბერი:
ფარერები-რუმინეთი
ფინეთი-ჩრ.ირლანდია
საბერძნეთი-უნგრეთი

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლივერპული იურგენ კლოპს პარასკევს წარადგენს

როგორც მოგეხსენებათ, ლივერპულმა ბრენდან როჯერსი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა, მის ადგილზე კი გერმანელი სპეციალისტი იურგენ კლოპი მიიწვია.

როგორც ინგლისური პრესა წერს, კლოპის ოფიციალური წარდგენა უკვე პარასკევს მოხდება და ლივერპული მას 3 წლიან კონტრაქტს გაუფორმებს.

კლოპმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ის ლივერპულის გაწვრთნას იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა, თუ მას გუნდის სატრანსფერო პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის საშუალებას მისცემდნენ.

როგორც ჩანს, ლივერპულმა გერმანელ სპეციალისტს ამის პირობა მისცა.

იურგენ კლოპი 2008-2015 წლებში დორტმუნდის ბორუსიის თავკაცი იყო და მისი ხელმძღვანელობით ბორუსიამ ბუნდესლიგის ორჯერ მოგება და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა შეძლო.

კოუტინიოს ბარსელონაში თამაში სურს

კატალონიურ ბარსელონას ლივერპულის ბრაზილიელი ფეხბურთელის კოუტინიოს მიმართ დიდი ხანია აქვს ინტერესი და როგორც ინგლისური პრესა იუწყება, ეს ინტერესი ორმხრივია, რადგან თავად ფეხბურთელსაც ბარსელონაში თამაშის დიდი სურვილი აქვს.

ასევე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბრენდან როჯერსის წასვლის შემდეგ კოუტინიოს კლუბის შეცვლის სურვილი გაუჩნდა და მისი ოცნების გუნდი სწორედ ბარსელონაა. კატალონიური გრანდი მზად არის, კოუტინიოში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა, სავარაუდოდ, ეს ტრანსფერი ზაფხულამდე არ შედგება.



კახა ცხადაძეს რუსეთის სამხედრო კომისარიატში იბარებენ

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს რუსეთის სამხედრო კომისარიატში იბარებენ. ამის შესახებ ინფორმაციას და შესაბამის ფოტომასალას რუსული საიტები ავრცელებენ.

რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის სამხედრო კომისარიატში ცხადაძის გამოძახების მიზეზი სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებული მონაცემების დაზუსტებაა. დოკუმენტი კი გაგზავნილია მისამართზე, სადაც ცხადაძე 2000 წლის შემდეგ აღარ ცხოვრობს.

ეს ბინა, რომელიც ცხადაძემ მოსკოვის „დინამოსგან“ მიიღო, 15 წლის წინ გაყიდა.

შეგახსენებთ, რომ კახა ცხადაძე ფეხბურთელობისას მოსკოვის „სპარტაკისა“ და „დინამოს“, გერმანული „აინტრახტის“, ინგლისური „მანჩესტერ სიტის“ ღირსებას იცავდა. მას საქართველოს ეროვნული გუნდის გარდა, სსრკ-ისა და დსთ-ის ნაკრებებშიც უთამაშია.

კახა ცხადაძე საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2014 წლიდანაა. ამჟამად ის ეროვნულ გუნდს ევრო 2016-ის შესარჩევი ციკლის მატჩებისთვის ამზადებს. 8 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები გიბრალტარს უმასპინძლებს, 11-ში კი სტუმრად მსოფლიოს ჩემპიონ გერმანიას დაუპირისპირდება.

ლუკას პოდოლსკი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს

გერმანიის ნაკრების ფორვარდი ლუკას პოდოლსკი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის 2 შეხვედრას გამოტოვებს. ამის მიზეზი ტრავმაა, რომელიც პოდოლსკიმ ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო.

თურქული გალათასარაის ფორვარდი მაინც გამოცხადდა ნაკრების შეკრებზე, მაგრამ გერმანელმა ექიმებმა ის უკან, სტამბოლში გაუშვეს, რადგან პოდოლსკის თამაში 10 დღის მანძილზე გამორიცხულია.

აღსანიშნავია, რომ ლუკასი საქართველოს ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრასაც გამოტოვებს, რომელიც 11 ოქტომბერს ლაიპციგში გაიმართება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უხებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რამდენი მილიონი დაიხარჯა თბილისის უკანონო ტენდერებში

აუდიტის სამსახური მერიასთან დაკავშირებით სკანდალურ დასკვნას ასაჯაროებს

აუდიტის სამსახური მერიასთან დაკავშირებით სკანდალურ დასკვნას ასაჯაროებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მათ მიერ ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის, ასევე გლდანისა და სამგორის რაიონული გამგეობების 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარე პროცესების მიმართ მედიის ინტერესს სპეციალური განცხადებით ეხმაურება, რომელსაც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

– აღნიშნული საკითხებისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასაჯაროებს გლდანისა და სამგორის რაიონული გამგეობების 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან დარღვევა-ნაკლოვანებებს, რომელიც შესაბამისი სამსახურების მხრიდან რეაგირებას საჭიროებენ.

1. თბილისის მერიის ადმინისტრაციის აუდიტის პროცესში გამოიკვეთა მთელი რიგი არასწორი საკადრო პოლიტიკისა და არაეფექტური მართვის პრობლემები, რომელთა შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდება აუდიტის დასრულების შემდეგ.

2. სამგორისა და გლდანის რაიონების 2013-2014 წლების და 2015 წლის 6 თვის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის პროცესში გამოვლენილი დარღვევების შესახებ:

სამგორისა და გლდანის რაიონების 2013-2014 წლების და 2015 წლის 6 თვის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები. მათ შორის, უმწეო მოქალაქეების უფასო სასადილოებით მომსახურების შესყიდვისას, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს აფიდავიტის მოთხოვნების დარღვევებს, რამაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვა გამოიწვია.

უფასო სასადილოებისთვის 2013 წელს გამოცხადებული ტენდერების მონაწილეები ძირითადად შპს „ილი“ („ილი ჯგუფი“) და შპს „ლიზი“ არიან. მომსახურების შესყიდვისას გამგეობის სატენდერო კომისიამ ოთხჯერ მოახდინა შპს „ლიზის“, ხოლო ერთხელ შპს „ილის“ დისკვალიფიკაცია.

დისკვალიფიკაციის მიზეზი ხუთივე შემთხვევაში იდენტურია – ფასების ცხრილისა და ტექნიკური დოკუმენტაციის, კერძოდ, სასადილოს მოსაწყობად საჭირო ფართის ფლობის დამადასტურებელი საბუთის დაუზუსტებლობა.

ჩვენს ხელთ არსებული სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ იმ შემთხვევაში, როცა პრეტენდენტების მიერ შეთავაზებული მიწოდების საბოლოო ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს არ აქვს წარდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია.

კომისიამ, დაბალი ფასის პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველზე, ხელშეკრულება უფრო მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტთან გააფორმა, რამაც შესყიდვის ღირებულების გაზრდა გამოიწვია.

დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაციითა და უფრო მაღალი ფასის პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შესყიდვის ჯამური ღირებულება გაიზარდა 92.4 ათასი ლარით.

არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ პრეტენდენტებმა დაარღვიეს საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული აფიდავიტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, კონ-



კურენტებს ეკრძალებათ კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება, სატენდერო წინადადების ფასის და წინადადების წარდგენის, ან წარდგენისაგან თავის შეკავების შესახებ.

შპს „ლიზი“ და შპს „ილი“, მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სავარაუდოდ, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ობიექტი ვალდებული იყო შეესწავლა აღნიშნული საკითხი და გაეტარებინა კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები.

მნიშვნელობიდან, უკვე გამოვლენილი გარემოებებიდან და შეფასებული რისკებიდან გამომდინარე, საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას შესაბამისი ორგანოების მიერ.

3. სამგორისა და გლდანის რაიონების 2013-2014 წლების და 2015 წლის 6 თვის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის პროცესში გამოვლენილი დარღვევების შესახებ:

სამგორისა და გლდანის რაიონების 2013-2014 წლების და 2015 წლის 6 თვის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ხარვეზები ამხანაგობების მეშვეობით ქალაქ თბილისის ახალშემოერთებულ სოფლებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში.

წყალმომარაგების ქსელის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“. ამხანაგობებმა სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულება გააფორმა იმავე კომპანიასთან.

საერთო სახელშეკრულებო ღირებულებამ სამგორში შეადგინა 6.907.2 ათასი ლარი, ხოლო გლდანში – 5.595.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ შემსრულებელ კომპანიას ავანსის სახით ჩაერიცხა სამგორის რაიონში – 2.736.3 ათასი ლარი, ხოლო გლდანის რაიონში – 2.238.0 ათასი ლარი.

დოკუმენტაციის შესწავლით იკვეთება რიგი უზუსტობები, კერძოდ:

ფარული სამუშაოების მოცულობები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობებთან შედარებით, ხოლო ფარული სამუშაოების აქტები არ არის შედგენილი;

ხარჯთაღრიცხვა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ თავად მოამზადა, მიუხედავად ამისა, შესრულებულია 600 ათას ლარზე მეტი ღირებულების ისეთი სამუშაოები, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვებით;

არსებობს მაღალი რისკი, რომ თავდაპირველად გაფორმებულხელშეკრულებებში ერთეულის ფასები გაზრდილი ღირებულებით იყო გათვალისწინებული და შემდეგ ანაზღაურებული.

აღნიშნულ რისკს ამყარებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, რაც გულისხმობდა სამუშაოების ღირებულების დათვლას ფაქტიური დანახარჯების მიხედვით. დასკვნის შედეგად ერთეულის ფასებში გამოვლინდა მნიშვნელოვანი სხვაობები;

მიმწოდებელს 2014 წლის 9 ივნისს წარმოდგენილი შესრულებულისამუშაოსაქტით ანაზღაურებული თანხიდან 75.6 ათასი ლარი ჩაერიცხა ისე, რომ სამუშაოების დასახელებები ფორმა №2-ში არ იყო მითითებული (გლდანის რაიონი).

ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობები მნიშვნელოვნად განსხვავდება შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებული მოცულობებისგან; მაგალითად, აუდიტის ჯგუფის მიერ სამუშაოების ადგილზე შემოწმებით და ამხანაგობების თავმჯდომარეების ახსნა-განმარტებების საფუძველზე გამოვლინდა, რომ შეუსრულებელია ფორმა №2-ში დაფიქსირებული ასფალტობეტონის საფარის აყრის სამუშაოების ნაწილი. (სამგორის რაიონში 20.2 ათასი ლარი);

შესრულებული სამუშაოების ნაზარდ ჯამში (ფორმა №3) წარმოდგენილი მოცულობები განსხვავდება ფორმა №2-ში წარმოდგენილი ნაკრები მოცულობებისგან.

* * *

შესრულებული სამუშაოების აქტები შეიცავს სხვა უზუსტობებსაც.

2015 წლის 3 ივნისს შემსრულებლის დაკვეთით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ ჩაატარა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომელიც შეეხო შესრულებული სამუშაოს აქტებისა და ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების შესაბამისობას.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გამგეობების მიერ გადახდილ თანხებსა და ფაქტობრივ დანახარჯებს შორის სხვაობამ შეადგინა 3.784 მილიონი ლარი. აუდიტის პერიოდში მიმწოდებლის მიერ საბიუჯეტო ანგარიშზე დაბრუნებულია 3.672 მილიონი ლარი.

აღსანიშნავია, რომ საექსპერტო გამოკვლევები არ შეხებია შესრულებული სამუშაოების მოცულობებს. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ექსპერტი დაეყრდნო შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (ანუ სამუშაოების შემსრულებლის) გენერალური დირექტორის წერილს, რომლითაც ის აცხადებდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობები სრულად იყო შესრულებული.

აგრეთვე დასკვნაში აღნიშნულია, რომ ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, თანხით 904.2 ათასი ლარი ფორმა 2-ში მოცემულია გაუშიფრავი სახით. შედეგად, ექსპერტიზის მიერ ვერ მოხდა ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული 904.2 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების პირდაპირი დანახარჯების შემოწმება, შესაბამისი დოკუმენტაციის არ/ვერ წარმოდგენის გამო.

საექსპერტო დასკვნით, მანქანა მექანიზმებზე დაანგარიშება ვერ განხორციელდა ფაქტიური დანახარჯების მიხედვით.

ღირებულება გამოყვანილი იქნა სამშენებლო რესურსებზე არსებული სტატისტიკური ფასებით.

ზემოთ მოყვანილ გარემოებებზე დაყრდნობით,უკვე გამოვლენილი და ექსპერტიზით დადასტურებული სხვაობების გარდა, წყალმომარაგების სისტემის სრული ექსპერტიზის შემთხვევაში, შესაძლოა გამოვლინდეს დამატებითი სხვაობები.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 20 მაისს სამგორის რაიონში ამხანაგობა „დიდი ლილოს“ თავმჯდომარესა და მიმწოდებელ კომპანიას შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, თანხით 538.1 ათასი ლარი.

ამხანაგობის თავმჯდომარის წერილობითი განმარტებით, დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის.

აუდიტის ჯგუფის მანდატიდან გამომდინარე (რადგანაც დამკვეთი არის ამხანაგობა, ხოლო შემსრულებელი – კერძო კომპანია.), სრული სურათის დასადგენად, ხელი არ მიგვიწვდება კერძო სამართლის სუბიექტების პირველად დოკუმენტაციაზე. თემის მნიშვნელობიდან და წინასწარი შედეგებიდან გამომდინარე, საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას შესაბამისი ორგანოების მიერ.

გარდა აღნიშნული შესყიდვისა, არსებობს მაღალი რისკი, რომ 2014 წელს სამგორის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ითვალისწინებდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ღირებულებით – 431.8 ათასი ლარი, ასევე ადგილი ჰქონდა პრეტენდენტების მიერ აფიდავიტის მოთხოვნების დარღვევას.

კერძოდ, ტენდერზე ყველაზე დაბალი ფასი – 302.5 ათასი ლარი წარმოადგინა შპს „არსაკიძე-2000“-მა. აღნიშნულმა კომპანიამ გამარჯვების შემდეგ უარი განაცხადა სატენდერო წინადადებაზე და მოხდა მისი დისკვალიფიკაცია. შემდეგმა პრეტენდენტმა, – შპს „კომფორტ მშენმა“ არ დააზუსტა სატენდერო დოკუმენტაცია, რის გამო ასევე მიიღო დისკვალიფიკაცია.

გამარჯვება მიეკუთვნა შემდეგი ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენ კომპანიას შპს „სატრანსპორტო საამშენებლო კომპანიას“, ღირებულებით – 325.4 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ტენდერში გამარჯვების შემდეგ შპს „სატრანსპორტო საამშენებლო კომპანიამ“ სამი სარეაბილიტაციო ქუჩიდან ორის შესრულებაზე, ქვეკონტრაქტორად აიყვანა შპს „არსაკიძე 2000“ – ნათქვამია აუდიტის ანგარიშში.

ნიუსპრესი

ასტროპროგნოზი

8 ოქტომბრისათვის

ჯერძი – დღის პირველ ნახევარში იმდენად აქტიური ხართ, რომ ნებისმიერ საქმეს იოლად აკეთებთ. საღამოს, უმჯობესია, განმარტოვდეთ მყუდრო გარემოში. ზედმეტი კონტაქტები საჭირო არ არის. **კურო** – საოჯახო საქმეები გაღიზიანებთ. სინდისთან კომპრომისზე არ წახვიდეთ. პარტნიორთან ურთიერთობას ნუ დაძაბავთ. **ბყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება სიხარულსა და სიამოვნებას განიჭებთ. მეგობრებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. დაუფიქრებლად ნურაფერს იტყვით. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. ილუზიებს ნუ აჰყვებით. გადაჭარბებული ოპტიმიზმი რეკომენდებული არ არის. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. გაუფრთხილდით ნერვებს. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებს. **ქალწული** – იმდენად შთაგონებული ხართ, ყველაზე რთული პრობლემის მოგვარებაც კი ძალგიძთ. კარგი იქნება, თუ დღეს შეეცდებით, ცოდნის არეალი გაიფართოვოთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული ოპერაციებისათვის, მნიშვნელოვან დოკუმენტებზე ხელმოსაწერად. ერთობლივი პროექტები თქვენს შემოსავალს საგრძნობლად გაზრდის. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ჭორებს ნუ აჰყვებით და უსიამოვნო ინფორმაციას ყურადღება არ მიაქციოთ. **მშვილდოსანი** – სანამ რამეს იტყოდეთ ან მოიმოქმედებდეთ, კარგად დაფიქრდით, რათა უნებურად ვინმე არ გაანაწყენოთ. ეს განსაკუთრებით მეგობრებთან ურთიერთობას ეხება. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. ყველაფერს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. ემოციები მოთოკეთ.**მერწყული** – იზრუნეთ სულიერებაზე, იკითხეთ შესაბამისი ლიტერატურა. თუ საშუალება გაქვთ, დაეხმარეთ გაჭირვებულებს.**თევზები** – საკმაოდ რთული დღეა. ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. უმჯობესია, თუ ამ დღეს თქვენი საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატარებთ.

ბისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. გერმანელი მწერალი, დრამატურგი; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. გაზის უდიდესი საბადო საფრანგეთში; 5. აეროპორტი ტოკიოში; 6. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 7. მღვდლის ცოლი; 11. ბელორუსიის დედაქალაქი; 13. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 14. სილის გორაკი ზღვის, ტბის სანაპიროზე; 15. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 16. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 17. თევზის საჭერი მახე მდინარეში; 19. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 20. ინდოელ ქალთა სამოსი, კაბა.

თარაზულად: 1. აივნიანი, ხის პატარა სახლი ინდოეთში; 4. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 8. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 9. აღმოსავლური ტკბილეული; 10. აჭარული ცეკვა; 12. მართული წყალქვეშა ჭურვი; 14. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 15. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 18. სპირტიანი სასმელი; 21. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 22. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება არმიაში; 23. სომეხთა მღვდელი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „იტაიპუ“; 2 ზეკარი; 3. იარდი; 5. ოხრა; 6. მარულა; 8. ონიქსი; 11. აწინკლები; 13. დროზერა; 14. კარიესი; 15. ცინიზმი; 19. ჟაკო.

თარაზულად: 1. ინკვიზაცია; 4. ბოჭორმა; 7. „არაბიკა“; 9. დარნიცა; 10. ზაირი; 12. საქსონია; 16. ხიდაშელი; 17. კონკური; 18. ფიუზელაჟი; 20. „ბენიასა“; 21. ლარი; 22. ექსპორტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტაიბეი; 2. „მარკა“; 3. რუხი; 5. ხახამი; 6. ქაოსი; 7. „ლატავრა“; 11. ლაისტი; 13. გდანსკი; 14. პაქტი; 15. „ყაზბეგი“; 16. კლინიკა; 17. გაბენი; 19. აგუტი; 20. „როშე“.

თარაზულად: 1. ტემპერა; 4. კირხე; 8. ხვატი; 9. ხაჭო; 10. ბოკალი; 12. გაუტამა; 14. პესო; 15. ყაპუზუნა; 16. კექსი; 18. ნუბია; 21. ბედია; 22. კრუშონი; 23. ტანკერი.

რუსეთმა პალმირა დაბომბა



რუსულმა ავიაციამ სირიის ტერიტორიაზე მდებარე ანტიკური ქალაქი პალმირა დაბომბა. ქალაქის დაბომბვის უფლება რუსებს სირიის მთავრობამ, კერძოდ, პრეზიდენტმა ასადმა მისცა.

– დაბომბვის შედეგად 16 ისლამისტია განადგურებული, – იტყობინება სირიის ტელევიზია.

აღსანიშნავია, რომ როგორც კი პალმირაში ისლამისტები შეივიდნენ, უძველესი კულტურული ძეგლების განადგურება დაიწყეს. მათ ჩამოახრჩვეს ძეგლების მცველი, რომელიც ტერორისტების დაშოშმინებას შეეცადა.

ახლა პალმირას რუსული ბომბები ანადგურებენ.

ადამ მიხნიკი: პუტინი მუსოლინის გზით მიდის



მოსკოვში ცნობილი პოლონელი პოლიტიკოსი მოძრაობა „სოლიდარობის“ ერთ-ერთი დამაარსებელი ადამ მიხნიკი ჩავიდა. ის თავისი წიგნის პრეზენტაციას დაესწრო.

წიგნში დაწვრილებითაა გაანალიზებული როგორც რუსეთის, ასევე პოლონეთის კომუნისტური და პოსტკომუნისტური ეპოქები, ყირიმის ანექსია და დონბასის ომი.

– პუტინი მუსოლინის გზით მიდის. რუსეთს ეს კარგს არაფერს მოუტანს! – თქვა მიხნიკმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დონეცკ-ლუგანსკში არჩევნები გადაიდო

18 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს დაგეგმილი არჩევნები, რომლებიც ე.წ. „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების“ კანონმდებლობის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო, გადაიდო.

რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ არჩევნები უკრაინული კანონმდებლობის თანახმად ჩატარდება.

მინსკის შეხვედრაზე უკრაინის წარმომადგენლებმა წამოაყენეს მოთხოვნა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ ლტოლვილებმაც, რომლებმაც დონბასი დატოვეს და უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე გადასახლდნენ.

სეპარატისტებს ეს არ მოეწონათ, რადგან ლტოლვილების უმრავლესობა პროუკრაინულადაა განწყობილი.

ეუთოს წარმომადგენელმა მარტინ საიდიკმა, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, აღნიშნა, რომ კიევისა და სეპარატისტების დიალოგი მძიმედ მიმდინარეობს. რიგი პრობლემა კვლავაც რჩება. მაგალითად, არ არის დამთავრებული საამარი მოქმედებების ზონიდან მძიმე ტექნიკის გატანის პროცესი. მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ როგორც იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩატარდეს არჩევნები, აგრეთვე იმაზეც, თუ როგორი უნდა იყოს დონბასის სტატუსი.

საიდიკის აზრით, ამ ეტაპზე საჭიროა მძიმე შეიარაღების კონფლიქტის ზონიდან გაყვანა და მშვიდობის განმტკიცება.

– დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკებთ, – თქვა საიდიკმა.

ლუკაშენკო რუსულ ბაზებს ბელარუსში არ შეუშვებს

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ რუსული ავიაბაზის განთავსება ბელორუსში არ იგეგმება და ასეთი რამ არც მოხდება.

– არ დაგიმალავთ, ამის თაობაზე საუბრები მართლაც მიმდინარეობდა, მაგრამ პუტინს პირდაპირ ვუთხარი, რომ არავითარი ახალი სამხედრო ბაზა ბელარუსში არ განლაგდებამეთქი! ასე რომ, ჩვენი ოპოზიცია ტყუილუბრალოდ ნერვიულობს! – თქვა ლუკაშენკომ.

რუსმა პოლიტოლოგმა სატანოვსკიმ თავის მხრივ აღნიშნა, რომ ბელარუსის პრეზიდენტი ახალი ავიაბაზის განლაგებას დათანხმდა, თუმცა, შემდგომში რატომღაც გადაიფიქრა. რაც შეეხება მინსკის აქციას, რომელზეც ბელარუსებმა რუსული ბაზების ბელარუსში განლაგება გააპროტესტეს, ის, სატანოვსკის აზრით, თავად ლუკაშენკოს მიერ იყო ინსპირირებული, რათა მოსკოვისთვის ეჩვენებინა, რომ ბელარუსები რუსული ბაზის წინააღმდეგნი არიან.

– ბატონმა ლუკაშენკომ საშიში თამაშები წამოიწყო! ის უკრაინელ ნაციონალისტებსა და მათ ბელარუს კოლეგებს შეეკრა! როცა უკრაინელი და ბელარუსი ნაცისტები ლუკაშენკოს დამხობას დაიწყებენ, ის დახმარებისთვის მოსკოვს მიმართავს, თუმცა უკვე გვიანი იქნება, – თქვა სატანოვსკიმ.

რა არის გრიპი და რა არის გაციება

მედიცინა

გაციება ხშირად ცნობილია, როგორც ზემო რესპირატორული ტრაქტის ვირუსული ინფექცია, საკმაოდ ხშირია და აქვს შებრუნებითი ხასიათი. გაციებული მთელი წლის განმავლობაში სკოლამდელი და დამწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებმა შესაძლოა 3-12-ჯერ გადაიტანონ გაციება, მაშინ როდესაც მოზარდებსა და ზრდასრულებში, წლის განმავლობაში, მხოლოდ 2-4ჯერ გვხვდება.

გაციება ყველაზე ხშირი და გავრცელებული დაავადებაა მსოფლიოში. იგი ექიმთან ვიზიტების, სკოლისა და სამსახურის გაცდენის წამყვანი მიზეზია.

* * *

რომელი დაავადება უფრო მსუბუქად მიმდინარეობს ადამიანისთვის?

ადამიანების უმეტესობას ეშლება გაციება და გრიპი ერთმანეთში.

გაციებისგან განსხვავებით, გრიპი გამოწვეულია გრიპის ვირუსით. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სიმპტომები მსგავსი იყოს, გაციება უფრო მსუბუქად მიმდინარეობს ვიდრე გრიპი.

გრიპი და გაციება, ორივე რესპირატორული ტრაქტის

კონტაგიოზური ვირუსული ინფექციებია. გაციება აზიანებს ზედა რესპირატორულ ტრაქტს (სინუსებს, ნაზალურ არხებს, ხორხს და ყელს), ხოლო გრიპი აზიანებს სასუნთქ სისტემას (ცხვირი, ყელი, ტრაქეა, ბრონქები და ფილტვები).

ცნობილია 200-ზე მეტი სახეობის გაციების გამომწვევი ვირუსები და რამდენიმე წელიწადში ერთხელ ჩნდება ახალი ვირუსული შტამები. იქიდან გამომდინარე, რომ ორივე დაავადება ვირუსულია, მათზე არ მოქმედებენ ანტიბიოტიკები.

ანტიბიოტიკები ზემოქმედებენ მხოლოდ ბაქტერიულ ინფექციებზე. მცირე რაოდენობით ანტივირუსული პრეპარატების მიღება საკმარისია გრიპის სამკურნალოდ, მაგრამ არ არსებობს სპეციფიური პრეპარატები, რომლებიც დაამარცხებენ გაციებას. ანტიბიოტიკების დახმარება შესაძლოა საჭირო გახდეს თუ ადგილი ექნება მეორად ბაქტერიულ ინფექციას.

* * *

რითი გავს და რით განსხვავდება ერთმანეთისგან გრიპი და გაციება?

ცხვირის გაჭედვა, ყელის ტკივილი და ცემინება დამახასიათებელია გაციებისთვის. გრიპს და გაციებას, ორივეს ახასიათებს ხველა, თავის ტკივილი და დისკომფორტი გულმკერდის არეში.

გრიპისთვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი მაღალი ტემპერატურა რამოდენიმე დღის განმავლობაში, თავისა და კუნთების ტკივილი, სისუსტე და დაღლილობა.

გართულებები გაციების დროს, ჩვეულებრივ, მსუბუქად მომდინარეობს, თუმცა, გრიპიცა და გაციებაც შესაძლოა გართულდეს ისეთი სიცოცხლისთვის საშიში დაავადებით, როგორიცაა პნევმონია.

გაციება და გრიპი ხშირად გვხვდება შემოდგომისა და ზამთრის სეზონზე. ცივი ამინდი თავისთავად არ იწვევს გაციებას.

ზამთრის ცივ ამინდში ადამიანები უფრო მეტ დროს ატარებენ დახურულ სივრცეებში და აქვთ ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კონტაქტი, ეს ყველაფერი უფრო აადვილებს ვირუსის გავრცელებას. სწორედ ამ მიზეზით, ბავშვები სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ინფიცირდებიან და „ცვლიან“ ვირუსებსა და სხვა გამომწვევებს.

ცხვირის გაჭედვა და ყურის ტკივილი ძირითადად დამახასიათებელია გაციებისთვის.

გრიპის დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს თავის, ყელისა და კუნთების ტკივილს, შემცივნებასა და ოფლიანობას, ტემპერატურის ცვალებადობის გამო, იშვიათად ჩნდება ცხვირის გაჭედვა ან გამონადენი; მოსალოდნელია დაღლილობისა და სისუსტის შეგრძნება, გადატანის შემდგომ 2-3 კვირის განმავლობაში. თავის ტკივილი ნაკლებადაა დამახასიათებელი გაციებისთვის.

* * *

გაციების ყველაზე გავრცელებული გამომწვევებია რინოვირუსები. ისინი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ადრეულ შემოდგომაზე, გაზაფხულსა და ზაფხულში.

დღეისთვის 110-ზე მეტი სახეობის რინოვირუსია იდენტიფიცირებული. მათი გამრავლებისთვის ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურაა ადამიანის ცხვირის ღრუში. რინოვირუსების უმეტესობა იშვიათად იწვევს სერიოზულ დაავადებას.

ცხელება არის ორგანიზმის ბუნებრივი დამცველობითი თვისება. მაღალი ცხელება ეწოდება მდგომარეობას, როდესაც სხეულის ტემპერატურა 38 გრადუსზე ზევითაა. ნებისმიერ ტემპერატურას ნორმაზე ზევით და 38გრადუსზე ქვევით ეწოდება დაბალი ცხელება.

ბაქტერიებსა და ვირუსებს არ აქვთ მაღალ ტემპერატურაზე სიცოცხლის უნარი. სწორედ ამიტომ დაბალი ცხელების დროს არ არის სასურველი მკურნალობა, თუ ადგილი არ აქვს გართულებას.

* * *

გაციებისა და გრიპის პრევენციის საუკეთესო საშუალებაა ხელების ჰიგიენა, ხოლო გრიპის ვირუსისგან გამოწვეული ავადობის და სიკვდილობის ყველაზე ეფექტური პრევენცია – ყოველწლიური ვაქცინაციაა.

გრიპის ვაქცინა (გრიპის ვაქცინა დამზადებულია ინაქტივირებული ან ატენუირებული ვირუსისგან) რეკომენდებულია მათთვის, ვინც არიან გრიპის ინფექციის სერიოზული გართულების განვითარების რისკის ქვეშ.

აღნიშნულ რისკ ჯგუფებს მიეკუთვნება ორსულები, სამედიცინო პერსონალი, ქრონიკული დაავადების მქონე ნებისმიერი პირი, მოხუცები და ბავშვები.

მიუხედავად იმისა, რომ დაღლილობა და სისუსტე ვითარდება გაციების დროს, აღნიშნული სიმპტომები უფრო მკვეთრადაა გამოხატული გრიპის დროს. გრიპის დროს დაღლილობა და სისუსტე შესაძლოა გაგრძელდეს 3 კვირა.

გრიპის ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა ხდება დახველების ან დაცემინების დროს წვეთების გამოფრქვევით. (ამას ეწოდება „წვეთით გავრცელება“). ეს ხდება, როდესაც დაავადებული ადამიანის დახველების ან დაცემინების შედეგად წვეთები გამოიფრქვევა ჰაერში და მოხვდება 1მეტრის რადიუსში მყოფი ადამიანის პირის ღრუში ან ცხვირში. ვირუსები ასევე ვრცელდება, როდესაც ადამიანი შეეხება ვირუსის შემცველი წვეთებით დაბინძურებულ ზედაპირს და შემდეგ ხელების დაბანამდე, საკუთარ პირს ან ცხვირს.

ძველ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციე სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბაბაონი ქეთევთო

სამგლოვიარო განცხადებები

და ლეილა მირიანაშვილი, დისშვილი რატი ცქიფურიშვილი, რძალი ხათუნა ფაღავა, დისშვილიშვილები ანა და გვანცა იუწყებიან

კოტე გიორგის ძე მირიანაშვილის

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 6, 7 ოქტომბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 8 ოქტომბერს, 14 საათზე.
მისამართი: ბაზალეთის ქ. №3.

სოსო ნაყოფია ოჯახით მწუხარებით იუწყება მეგობრის

პაპუნა იროდის ძე თოდუას

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს მეუღლე გულიაზა ლატარიას, შვილებს გვანცასა და ირაკლის, და იას, ძმა კიაზოს, სიძე არველოდ სოსელიას ოჯახებს.

დაკრძალვა: შაბათს, ზუგდიდი, მესხიას 49.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ხუთშაბათი 8 ოქტომბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. **"ლირსება და პატივი"** **11.00** ტ/სერ. **"ჯენტლ ვეტრინე"** **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **14.05** მხ/ფ **"ყოველისშემძლე ევანი"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** სპორტული გადაცემა **19.50 ფეხბურთი. 2016** წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი: **საქართველო – გიბრალტარი** **21.55** "კომუნიკატორი"– წარდგენა **21.55** სპორტული გადაცემა **00.40** მხ/ფ **"ჟეორჟ დღე რომ დაღამდა"** (მ.ბრანდო) **02.10** თოქ–შოუ "რეალური სივრცე"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანიმუშო სოფელში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" **11.00** დ/ფ "ჩარლიდერები" **12.00** მხ/ფ **"უკანასკნელი საზღვარი"** 1–2 სერ. **14.00** დ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" **16.00** დ/ფ "ჯონ სფარის ნახატები" **18.00** დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **22.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ **"პაპანა"** (რ.რედფორდი)

06.00 სერ. **"კარმა"** **06.30** სერ. **"ბოშა ქალი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი"**) **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"საიდუმლო"** **18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** შალვა რამიშვილის შოუ **01.00** მხ/ფ **"ჩაქრობილი წრე"** **02.45** მხ/ფ **"ოჯახური გეგმა"**

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

06.15 ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "ნოლინა" **07.05** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ჟვარჟვარე"** **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციოზი" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ.ანიმ. ფილმი **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.55** კონცერტი **17.35** ჩვენი ფონდი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** ქართული ხმები-ხუთლი **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დ/ფ "მოგზაურობა იტალიაში-ტურინის სუდარა" **22.25** კარაბადინი "ივანე ბერიტაშვილი, ნარგიზ ნაჭყებია" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ტარზანი" (ფუსტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05 სერიალი "ძუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაპარებული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "ტაბიანა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვეარდით"** **21.30** თოქ-შოუ "მესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ლამაზი ცხოვრება"** **1.30 სერიალი "ტაბიანა"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფორმზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3916	ევრო — 2.6791
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6266	100 რუსული რუბლი — 3.6838

ვინ თაღლითობს ნინო ხომასურიძის სახელით?

ცნობილი ქართველი მსახიობის ნინო ხომასურიძის სახელით თაღლითები სარგებლობენ. მსახიობი, რომელსაც ლევან ანჯაფარიძე თავის ახალ ფილმში „ციცინათელებში“ იღებს, მიმართავს ყველას, რომ თავი დაიცვან გარეწრებისგან.

ნინო ხომასურიძე:

– სოს! ნუ ენდობით გარეწრებს! ჩემი დალევან ანჯაფარიძის სახელით ვიღაც ცრუპენტელები დადიან სკოლებში და ატყუებენ ბავშვებს, თითქოსდა გადაღებაზე სჭირდებათ. თითოეულისგან ითხოვენ 300 ლარს და პირდებიან ათას სისულელეს. არ წამოეგოთ მათ ტყუილზე. ვაქვეყნებ ჩემს ტელეფონს და თუ ვინმე ჩემი სახელით მოვა, დამირეკეთ 593 68 55 93.

ქართველი დიზაინერი ბალენსიაგას კრეატიული დირექტორი გახდა

34 წლის ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი მოდის სახლის „ბალენსიაგას“ კრეატიულ დირექტორად დაინიშნა. დემნას ახალი თანამდებობის შესახებ უკვე დაწერეს ვოგის დიდმა გამოცემებმა და მსოფლიოს წამყვანმა ჟურნალებმა მაღალი მოდის შესახებ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი დიზაინერი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა. კიდევ ერთი ქართველი დიზაინერი დევიდ კომა მუგლერის არტდირექტორად აირჩიეს.

დემნამ უმსხვილეს მოდის სახლში ცნობილი დიზაინერი ალექსანდერ ვონგი ჩაანაცვლა. ბალენსიაგამდე დემნა გვასალია უკვე წლებია, თანამშრომლობს ცნობილ დიზაინერებთან და მოდის სახლებთან. ლუი ვიტონის შემდეგ ქართველი დიზაინერი მარტინ მარჯიელამ არტ დირექტორის პოზიციაზე დაამტკიცა. დემნა გვასალიას მოდის კრიტიკოსები ხშირად მარტინ მარჯიელას სულიერ შვილსაც კი უწოდებენ.

გია ჭიაბრიშვილი: „საბურთალომ მიდტიულანდს უნდა მოუგოს“

როგორც მოგეხსენებათ, იუნიორთა ჩემპიონთა ლიგაში მიდტიულანდისა და საბურთალოს მატჩი დანიელებმა 3:1 მოიგეს და ახლა საპასუხო მატჩის მოლოდინში ვართ.

პირველ მატჩზე საუბრობს დედაქალაქური კლუბის მთავარი მწვრთნელი გიორგი ჭიაბრიშვილი:

– სამწუხაროდ, ჩვენი შესაძლებლობების მხოლოდ 50 პროცენტი ვითამაშეთ. მეტოქემ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მიუხედავად ამისა, შეგვეძლო სამშობლოში სასურველი შედეგით დავბრუნებულიყავით.

დანიური ბარიერი რთული გადასალახავი იქნება, მაგრამ რასაც თავიდანვე ვამბობდი, ახლაც იმ პოზიციაზე ვარ – ორი თამაშის ჯამში ეს ეტაპი აუცილებლად უნდა დავძლიოთ. წინ დაახლოებით 2 კვირა გვაქვს და ვეცდებით ამ პერიოდში იმაზე ვიმუშაოთ, რა შეცდომებიც პირველ შეხვედრაში გვქონდა.

დუდუ დადიანის თასი საქართველოს გარეთ გაემგზავრა

დუდუ დადიანის თასი ყაზახეთის ქალაქ ატირაუში წავიდა.

ედუარს სკრიპეცის გაწვრთნილი ბარსი თბილისურ ტურნირში ბალტიის ლიგისთვის მოსამზადებლად ჩამოვიდა. ყაზახური გუნდი აღნიშნულ საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობას რამდენიმე დღეში დაიწყებს, ხოლო რაც შეეხება შიდაასპარეზს, ატირაუელებმა ყაზახეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური გასულ სეზონში მოიპოვეს.

ერთი სიტყვით, თბილისს ურიგო გუნდი არ სტუმრებია. ბარსი-ატირაუ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ გუნდებს ჯგუფში იოლად გაუსწორდა, თუმცა ფინალურ მატჩში, ქუთაისთან ბეწვის ხიდზე გაიარა. მართალია, ყაზახური გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობდა, თუმცა კოტე ტუღუშის გაწვრთნილ ქუთაისელებს ფინალური მატჩის მოგების რეალური შანსი ჰქონდათ.

მატჩის დასრულებამდე 3 წამით ადრე, როცა ქუთაისი 72:74 ჩამორჩებოდა, ზაურ ფაშაევმა ყაზახებისთვის საქმის მოთავება ერთი სროლით მოინდომა და ნაცვლად იმისა, რომ ფარქვეშ შესულიყო და ანგარიში გაეთანაბრებინა, პერიმეტრზე აიწია და სამქულიანი ესროლა. სამწუხაროდ, ბურთი კალათში არ ჩაეშვა და მატჩის ბედიც გაირკვა – 78:74.

ჩემპიონი ატირაუელები მატჩის დასრულებისთანავე დაჯილდოვეს. საუკეთესო მოთამაშის პრიზი პაველ მიხეევმა დაისაკუთრა, ხოლო ატირაუელთა კაპიტან კადირზან გუბაშევმა საჩემპიონო თასი ჩაიბარა. გამარჯვებულები დუდუ დადიანის ძმისშვილებმა – სანდრო და ნიტა დადიანებმა დააჯილდოვეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

იუმორი

კაცი მრგვალი ფორმის სახლს აშენებს. მეგობარი ეკითხება:

– რატომ იშენებ მრგვალ სახლს?

– სიდედრმა მითხრა, სახლს რომ ააშენებ, ერთი კუთხე მე მომეციო!..

●●●

მთვრალი პარლამენტარი სახლში დაბრუნდება. ცოლი ეუბნება:

– ერთი სარკეში ჩაიხედე, რას გავხარ!

– ვა, უკვე სარკეშიც მაჩვენებენ!

●●●

სიძე სიდედრს ეუბნება:

– ძვირფასო სიდედრო, ბანაობის შემდეგ აივანზე ნუ გახვალ, თორემ ისევ გაცივდები და არ მოკვდები.

●●●

რუსი ჯარისკაცი გენერალს მოახსენებს:

– ბატონო გენერალო, ხედავთ, ზინაიდა მტრისკენ ხოხვით მიიპარება. ნება მომეცით ვესროლო!

– შეეშვი, ეგ ჩვენი ბაქტეროლოგიური იარაღია.

●●●

თუ მამაკაცი ცდილობს, რომ მეზობელ კორპუსში შიშველი ქალი დურბინდით დაინახოს, ე.ი. მას სახლში კომპიუტერი და ინტერნეტი არ აქვს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, ნოდარა რომ დაუჭერიათ?

– რისთვის დაიჭირეს?

– მდინარეში ნასკები გარეცხა და მთელი თევზი დაიხოცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გურამ დოჩანაშვილი 13 ივნისის მოხალისეებს საჩუქარს უმზადებს

ეკა ირემაშვილი

ქართველი კლასიკოსი მწერალი გურამ დოჩანაშვილი 13 ივნისის მოხალისეებს საჩუქარს უმზადებს. მათ, ვისაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს, 10 ოქტომბერს მწერალი ზოოპარკში ახალ წიგნებს აჩუქებს.

მწერალი 13 ივნისის მოხალისეებს უძღვნის თავის ახალ წიგნს „გივიზე“, რომლის პერსონაჟიც, მწერლის მეგობარი, 13 ივნისს ტრაგიკულად დაღუპული ზოოპარკის თანამშრომელი გივი დვალია. გივი დვალი თითქმის მთელი ცხოვრება ზოოპარკში მუშაობდა და ცხოვრობდა.

გურამ დოჩანაშვილს სურს პირადად აჩუქოს თავისი ახალი წიგნი ყველა იმ ადამიანს, ვინც 13 ივნისის მოხალისეობრივ ფრონტს შეადგენს.

– ყველას, ვინც გულთან მიიტანა ეს ტრაგედია, ვინც მიიჩნევს, რომ თბილისი ერთია, გიწვევთ ზოოპარკში, 10 ოქტომბერს, – აცხადებს მწერალი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კოტე თოლორდავა საუკეთესო მსახიობად დაასახელეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე 35 წლის ასაკში გარდაცვლილი ქართველი მსახიობი კოტე თოლორდავა საუკეთესოდ დაასახელეს.

ინდიანას შტატის ქალაქ ბლუმინგტონში ჩატარებულ კინოფესტივალში მონაწილეობდა რეჟისორ ლევან ბახიას ფილმი „ნაღმი“. ამ ფილმში შესრულებული როლისთვის კოტე თოლორდავა საუკეთესო მსახიობად დასახელდა.

„ნაღმი“ ქართულ-ამერიკული ფსიქოლოგიური თრილერია და „სარკე სტუდიოს“ პროდუქტს წარმოადგენს. ფილმ „ნაღმის“ შემქმნელებმა უკვე გადაიღეს ფილმი „247 გრადუსი ფარენგეიტით“, რომელიც კინო გაქირავებაში მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში ჩაეშვა და ინვესტორებს მნიშვნელოვანი ფინანსური სარგებელი მოუტანა, რაც ახალი ფილმის გადაღების ბიძგი გახდა.

„ნაღმის“ პრემიერა შარშან გაიმართა. ფილმში მონაწილეობენ სთერლინგ ნაითი, სპენსერ ლოკი, დინ გეიერი, კოტე თოლორდავა, გიორგი ცაავა, ნანა კიკნაძე და ელენე ბეზარაშვილი.

ფილმი სამი ამერიკელი ტურისტის შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც საქართველოში მოგზაურობენ. ბუნებაში სეირნობის დროს მათი მშვიდი მოგზაურობა წყდება მაშინ, როცა ერთ-ერთი მათგანი რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ დარჩენილ ნაღმზე დაადგამს ფეხს. მეგობრები დახმარებას ცდილობენ, მაგრამ უშედეგოდ. მისი სიცოცხლე მაშინვე დასრულდება, როგორც კი ოდნავ მაინც გამოძრავდება.

ფილმი, თავისი დაძაბული სიუჟეტით, სასიყვარულო სამკუთხედითა და რამდენიმე თამამი სცენით ამერიკაში გამართული საერთაშორისო კინოფესტივალის ყურადღების ცენტრშიც მოექცა და ფესტივალის ჟიურიმ კოტე თოლორდავას სამსახიობო ოსტატობა გამოარჩია.

ეკა ირემაშვილი

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. თეატრალური პრემია საქართველოში; 2. მზის სისტემის პლანეტა; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ ბრძმედში მადანს, დნობის დასაჩქარებლად; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 6. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. ფეხბურთის სტადიონი ერევანში; 9. თავადაზნაურთა წინამძღვარი ძველად საქართველოში; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 12. სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება; 16. ფქვილით, ხახვით, ძეხვით და კვერცხით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 17. ხურდა ფული ბრაზილიაში; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. კატარის დედაქალაქი; 22. ყველაზე წვრილი ფული ინგლისში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა